ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 7 ივნისი 2001 №104 (1377) | ფასი 50 თეთრი


# გაიღვიძეთ!





გურამ წიბახაშვილის ფოტოები



ლიტვასთან მოგების მერე საქართველოს ორთავა ნაკრებმა ქულა არ იცის, ნულზეა. ანკონაში იტალიასთან 0:2, თბილისში რუმინეთთან 0:2 და იტალიასთან 1:2. გუშინ კი ბუდაპეშტში უნგრეთთან

მწვრთნელების აზრით, წაგებათა მიზეზი იყო ყველა და ყველაფერი: მსაჯები, ჟურნალისტები, იტალიური თუ ჰოლანდიური მაფია, თავად ფეხბურთელები... გუშინ უნგრელებმა ძოძუაშვილ-ყიფიანი სიმართლესთან და ხალხის გულისთქმასთან მიაყენეს:

# 1:4 წადით!

## 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი VIII ჯგუფი. 6 ივნისი

# უნგრეთი 4:1 საქართველო

ბუდაპეშტი. „ნეპშტადიონი". 23.15. 10 000 მაყურებელი

**1:0 მატიუში (40), 2:0 შებოკი (45პ), 3:0, 4:0 ა. კორსოში (55, 62), 4:1 კობიაშვილი (77)**



ქართველთა კარში პირველი გოლი იანუშ მატიუშის (№4) თავურით გავიდა

1. კირალი
2. დ. კორსოში 5. შებოკი
3. პეტო 4. მატიუში
8. ლისტეში 6. ჰალმაი
7. კაბატი 10. ილეში 11. ა. კორსოში
9. ჰორვატი

8. ა. არველაძე 11. შ. არველაძე
9. ქეცბაია 10. ყაველაშვილი
6. კალაძე 4. რეხვიაშვილი
3. აბრამიძე
2. კობიაშვილი 7. ნემსაძე 5. ხიზანიშვილი
1. ზოიძე

საქართველო

შეცვლა: **ყაველაშვილი — 14. ქინქლაძე (53), კალაძე — 16. თოდუა (67), ნემსაძე — 18. ქემოკლიძე (67), ჰალმაი — 18. დარდაი (70), ა. კორსოში — 16. დომბი (77), ლისტეში — 13. ლენდვაი (80)**

გაფრთხილება: **ჰალმაი (6), ნემსაძე (14), მატიუში (20), ჰორვატი (40), აბრამიძე (84)**

მსაჯები: **ჰარტმუტ შტრამპე; ფრანკ შუმახერი, მარკუს შებელი; ედგარ შტაინბორნი (ყველა გერმანია)**

ფიფას კომისარი: **ჟან ფურნე ფეიარი (საფრანგეთი)**
ფიფას ინსპექტორი: **ჟან კლოდ ჟურკენი (ბელგია)**

ჯარიმა: **27:14;** კუთხური: **5:2;** კარისკენ დარტყმა: **11:5;** კარში დარტყმა: **6:4;** თამაშგარე: **2:5**



კობა ინასარიძე
ბუდაპეშტიდან

*საზოგადოდ ასეა მიღებული — როცა თავმოყვარე გუნდი ოფიციალურ მატჩებში ზედიზედ მარცხდება, ამათგან ორჯერ შინ, სულ ორ გოლს გაიტანს, უსახურად, უაზრტოდ, მოკლედ რომ ვთქვათ, ძალიან ცუდად თამაშობს, მწვრთნელი წასვლის განცხადებას წერს. ეს კი ის შემთხვევაა, როცა თანამდებობიდან არა მწვრთნელი, არამედ მწვრთნელები უნდა წავიდნენ და კარგი იქნება, თუ მათ რამდენიმე ფეხბურთელიც მიჰყვება, თავს გამოუტყდებიან, ნაკრებისთვის უვარგისი ვარო.*

# ქართველების დამარცხებას რა უნდა?! თუ მოსაგებად არ თამაშობ, ესე იგი, თამაში არ იცი

კიდევ ერთი სირცხვილი და თავსლაფდასხმა შუა ევროპაში, გუნდისგან, რომელსაც ძალიან დიდი ხანია, მეტოქე ისე არ დაუმცირებია, როგორც გუშინ.

მატჩზე, აბა, რა უნდა ითქვას? ანგარიში ყველაფერზე მეტყველებს და ესეც რომ არა, ალბათ, ფეხბურთის ყველა ქომაგი პირდაპირ ეთერში ნახავდა, როგორ არ უნდა ითამაშოს გუნდმა ფეხბურთი. ნახავდა და თავისი ქვეყნის ნაკრებით შეურაცხყოფილი, საშინლად აღშფოთდებოდა.

არადა, გუშინწინ ნაკრების წევრებისა და ხელმძღვანელობისთვის მომავალ მატჩზე რომ გეკითხათ, ხვალინდელ თამაშზე რას ფიქრობთო, მოვიგებთო, ამბობდნენ, ვიბრძოლებთ, თავს დავდებთო...

მატჩის წინ ქართველმა ფეხბურთელებმა, მათთვის და ჩვენთვისაც უჩვეულო რამ გააკეთეს. ეგებ გამოჩნდა კიდეც ეკრანზე: კაპიტნებმა ბურთი და მოედანი რომ გაიყვეს, ქართველებმა მოედნის თავიანთ ნახევრის შუაში წრე შეკრეს, ხელი ხელს გადახვიეს, თავი დახარეს და როგორც ამას ჰოკეისტები აკეთებენ, ალბათ, ვაჟკაცური თამაში შეჰფიცეს ერთმანეთს... ბოდიში, მაგრამ ველარ ვაგრძელებ... რა ითქმის ასეთი მატჩის შემდეგ?

რით შეიძლება აიხსნას ის, გუნდი რომ ოთხბურთიანი სხვაობით აგებს და მწვრთნელებს მოედანზე ორი მცველი შეჰყავთ? იმით, რომ მატჩი უკვე წაგებული იყო და ახალგაზრდები გამოსცადეს? არა მგონია, ასე იყოს. არც იმის თქმა შეიძლება, ამ ცვლილებებს მნიშვნელოვანი ტაქტიკური გადაადგილებები მოჰყვა და პრესტიჟის გოლი გავიტანეთო. სამწუხაროდ, ამ კითხვაზე პასუხი ვერ მოვისმინე, თუმც მწვრთნელებისთვის არც მიკითხავს, ძოძუაშვილი მატჩისშემდგომ პრესკონფერენციას არ დასწრებია.

კიდევ რა? ახლა, როცა საქართველოს სირცხვილნაჭამი ნაკრები, ალბათ, უკვე ჰაერშია, თავში სულ ერთი რამ მიტრიალებს.



ვალერი აბრამიძე: შორია ბურთამდე

— ხომ არ დადგა ის დრო, როცა საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელობა ერთხელაც უნდა შეიცვალოს? ვფიქრობ და მგონია, ასე აჯობებს. შედეგი ყველაფერზე მეტყველებს. ის კი ვერაფერი ნუგეშია, მგლოვიარე ებრაელებსა და აზერბაიჯანელებს შინ რომ გაჭირვებით მოუგებ.

და კიდევ. გუნდიდან უნდა წავიდეს მწვრთნელი, რომელიც 1:4 წაგებული მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე იტყვის — მასპინძლებმა მსაჯიც კარგად გამოიყენესო...

***დავით ყიფიანი**, საქართველოს ნაკრების მწვრთნელთაგანი:*

— მეტოქემ დამსახურებულად გაიმარჯვა. ჩვენზე მეტი იმოძრავა. კარგად იყენებდნენ სტანდარტულ მდგომარეობებს. მასპინძლებმა მსაჯი კარგად გამოიყენეს. ძალიან სუსტად ითამაშა კალაძემ, თამაში მას უნდა აეწყო, მან ეს ვერ მოახერხა, ჩვენი თამაში შეაფერხა. ვერ გავიგე, მსაჯმა პენალტი რატომ დანიშნა. ფეხბურთელებზე ამანაც იმოქმედა.

***ბერტალან ბიჩკეი**, უნგრეთის ნაკრების მწვრთნელი:*

— თავიდან გაგვიჭირდა, მაგრამ 15-20 წუთის შემდეგ ბიჭებმა ირწმუნეს, რომ ქართველების დამარცხება პრობლემას არ წარმოადგენდა. პირველი გოლის შემდეგ კი მეც დავრწმუნდი, რომ თამაში მოგებული გვქონდა. ქართველები ბევრჯერ შეცდნენ, ძალიან გახსნილ ფეხბურთს თამაშობდნენ, რამაც ჩვენებს საქმე გაუიოლა. ჩვენ მოგება უფრო მეტად გვინდოდა და სწორედ ამის ხარჯზე მოვახერხეთ ქართველთა დამარცხება. რუმინეთი და საქართველო ერთი დონის გუნდები არიან, მაგრამ ერთი სხვაობა მაინც არის, რუმინეთი ყოველთვის მოსაგებად თამაშობს. ვფიქრობ, მსაჯობა ნორმალური იყო. პრესკონფერენციაზე იმიტომ შემაგვიანდა, რომ ის ეპიზოდი ვნახე, როცა მსაჯმა პენალტი დანიშნა. მისი გადაწყვეტილება სამართლიანი იყო.



ორგოლიანი ატილა კორსოში და წაქცეული გიორგი ქინქლაძე

### VIII ჯგუფი

**ლიტვა 1:2 რუმინეთი**

0:1 ილიე (31), 0:2 მოლდოვანი (49), 1:2 ფომენკა (87)

ლიტვა: სტაუჩე, ცვირგჟდაუსკასი, დედურა, შკარბალიუსი, გრაჟიუნასი, მორინასი (ფომენკა 46), რ. ჟუტაუტასი, მიკალაიუნასი, შემბერასი, რაჟანაუსკასი (ბუიტკუსი 73), პოშკუსი

მწვრთნელი: ბენიამინას ზელკევიჩუსი

რუმინეთი: სტელია, კონტრა (განია 54), რადოი, ფილიპესკუ, კოვაჩი, დუმიტრუ, მ. ნიკულაე, დ. მუნტეანუ, მოლდოვანი (ბროდანი 57), კოდრეა, ილიე (მუტუ 63)

მწვრთნელი: ლადისლაუ ბოლონი

მსაჯი: ანტონ სტრედაკი (სლოვაკეთი)

7 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 6 | 5 | 1 | 0 | 15:3 | 16 |
| რუმინეთი | 6 | 4 | 0 | 2 | 7:6 | 12 |
| უნგრეთი | 5 | 2 | 2 | 1 | 13:7 | 8 |
| საქართველო | 5 | 1 | 0 | 4 | 6:10 | 3 |
| ლიტვა | 6 | 0 | 1 | 5 | 3:18 | 1 |

# ჩვენ ვირჩევთ ნემსაძეს!

## დანდელებმა კლაუდიო კანიჯას ქართველი ამჯობინეს

**აპრილში**, როცა გიორგი ნემსაძე სამწუხარო მიზეზის გამო თბილისში ჩამოვიდა (ბიძაშვილი გარდაეცვალა), დანდელებმა მისთვის განკუთვნილი თვის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი ზურაბ ხიზანიშვილს გადასცეს. მაშინ ისიც ითქვა, რომ საქართველოს ნაკრების კაპიტანი შოტლანდიური კლუბის წლის ფეხბურთელად დაასახელესო, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გიორგის ოდენ აპრილში გაწეული გარჯა დაუფასდა.

აი, ახლა კი შეგვიძლია ვთქვათ — გიორგი ნემსაძე „დანდის“ წლის საუკეთესო ფეხბურთელია.

ცნობა, რომელიც „დანდიმ“ გუშინ გაავრცელა, ჩვენთვის, ცხადია, სასიამოვნოა, მაგრამ ის ორმაგად სასიხარულოა, თუ გავითვალისწინებთ, რომ გიორგიმ კლაუდიო კანიჯას აჯობა.

აქ ერთი საინტერესო ამბავიცაა. ჩვენებური ორჯერ დაასახელეს თვის ფეხბურთელად — აგვისტოში და აპრილში, კლაუდიო კანიჯას კი ამგვარი პატივი ოთხჯერ ერგო — ოქტომბერში, ნოემბერში, იანვარში და თებერვალში.

მარტივ არითმეტიკასთან რომ გვქონდეს საქმე, წლის ფეხბურთელობა არგენტინელისთვის უნდა მიეცათ, მაგრამ აბა, სად ფეხბურთი და სად არითმეტიკა. ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი, რის გამოც კლუბის წევრებმა ხმის მიცემისას ნემსაძე კანიჯას ამჯობინეს, არგენტინელის მიერ კლუბის მიტოვება გახდა — მარადონას ძმაკაცი მომავალი სეზონიდან „რეინჯერსში“ გაირჯება. ამასთანავე, კანიჯას სეზონის ბოლოს საერთოდ აღარ უთამაშია, მაშინ, როცა სეზონის მიწურული ჩვენებურმა აშკარა აღმავლობით ჩაატარა და „რეინჯერსთან“ აპრილის მატჩში საუკეთესოც იყო. საბოლოოდ ნემსაძემ კანიჯას სამი ხმით აჯობა.

ნემსაძისა და კანიჯას შემდეგ მესამე ადგილზეა სქოთთა ნაკრების წევრი გავინ რაე, რომელიც დანდელთაგან საუკეთესო იყო მარტში. ივანო ბონეტიმ მასზე თქვა, ათ მილიონ გირვანქადაც არ გავყიდიო.

მეოთხეა ყმაწვილი არგენტინელი ფაბიან კაბალიერო და მისი ასე დაფასება ცოტა არ იყოს, უცნაურია, რაკი მას ტრავმის გამო სეზონის დიდი ნაწილი გაუცდა.

ხუთეულში ბოლოა ესპანელი ხავიერ არტერო, რომელსაც „დანდიში“ მარჯვენა ფლანგი აბარია.

ხუთეული ასეთია, ჩვენ კი ისევ გიორგი ნემსაძეს მივუბრუნდეთ და მასზე თქმული მოვისმინოთ.

***„დანდი“ — „კილმარნოკი“. მატჩის შემდეგ, მაისი, 2001.***

„ორივე ქართველი შეუდარებელი იყო, თუმც ქომაგებს ნემსაძემ უფრო მოაწონა თავი. მან არამარტო ბრწყინვალე დრიბლინგით დაიმსახურა ტაში, არამედ უზუსტესი პოზიციური თამაშითაც.“

***„აბერდინი“ — „დანდი“. მატჩის შემდეგ. აპრილი, 2001.***

„ვინ მოგვეწონა? სარა და კაბალიერო, რომლებმაც უზარმაზარი მუშაობა გაწიეს. ასევე ხიზანიშვილი, რომელსაც არ ეტყობოდა, რომ უცხო გარემოშია მოხვედრილი, მაგრამ ნემსაძე ყველას ჯობდა და მთელი 90 წუთის მანძილზე შეცდომა არ დაუშვია. მან გოლიც გაიტანა.“

***„დანდი“ — „ჰართსი“. მატჩის შემდეგ. მარტი, 2001.***

„ნემსაძემ ისეთი ინდივიდუალური ოსტატობა გვიჩვენა, როგორიც მთელი სეზონია, არავისგან გვახსოვს. მან არავის მისცა თავის გამოჩენის საშუალება.“

***„დანდი“ — „რეინჯერსი“. მატჩის შემდეგ. ნოემბერი, 2000.***

„ისეთი დიდებული თამაში იყო, ძნელია, საუკეთესო ფეხბურთელის გამორჩევა. კანიჯა, ბონეტი, დი მარჩი, სმიტი, ნემსაძე... თუმც მაინც გვგონია, რომ ნემსაძემ ყველას აჯობა. გახსოვთ, როგორ გადაუგდო მეკარეს ბურთი თავზე?“

***„დანდი“ — „დანფერმლაინი“. მატჩის შემდეგ. აგვისტო, 2000.***

„ნემსაძე აშკარად საუკეთესო იყო და ვეჭვობთ, განსხვავებული აზრი არსებობდეს. „დანდის“ თამაშს 1963 წლიდან ვუყურებ და ასეთი შთაბეჭდილება ჩემზე ჯერ არავის დაუტოვებია.“

**გიორგი დარჯანია**



შოტლანდიელებმა „დანდის“ წლის საუკეთესო ფეხბურთელად გიორგი ნემსაძე (მარჯვნივ) დაასახელეს



# ქორწილია იაშკაცური!

## ვულოცავთ ალექსანდრე იაშვილს, კაცს, რომელმაც თავისი საფეხბურთო კარიერა ალალი შრომით და ნამუსით შექმნა!

*ამ შაბათს ქორწილია! ქართველი ფეხბურთელი ალექსანდრე იაშვილი და სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი ანი შამათავა ქორწინდებიან! „ფრაიბურგის“ თავდამსხმელი დაოჯახებული დაუბრუნდება სამხრეთგერმანულ ქალაქს, სადაც გასაოცრად პოპულარულია და სადაც ნამდვილ ფეხბურთს თამაშობს.*

*ჩვენ ყველანი ვიცნობთ იაშკას, როგორც ნაღდ და გონიერ ფეხბურთელს, ლამაზი გოლების გამტანს და თავდადებულ, მოულოდნელ მოთამაშეს, უმძიმესი ტრავმების დამმარცხებელ, ყოველდღიურად მზარდ თავდამსხმელს. რაც მთავარია, ჩვენ ვიცნობთ მას, როგორც პატიოსან, თავმდაბალ და ალალ ბიჭს, რომელიც ამ თავისი თვისებებიდან გამომდინარე ცხოვრობს და იქცევა.*

*მივულოცოთ იაშკას და ბედნიერება ვუსურვოთ!*

*მისი მოხდენილი, აზრიანი თამაშის ცქერა კი ჩვენ არასოდეს მოგვბეზრდება.*

# კახა კალაძისთვის სეზონი დასრულდა

**გუშინწინ** იტალიის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტი შეიკრიბა და სერია A-ს 32-ე ტურის მატჩებში მომხდარ უმსგავსობებზე იმსჯელა.

„სტადიო ოლიმპიკოზე“ „რომა“ — „მილანის“ შეხვედრაში მატჩის არბიტრმა გრაციანო ჩეზარიმ სამი ფეხბურთელი გააძევა — „რომას“ ფრანგი ვენსან კანდელა, „მილანის“ ქართველი კახა კალაძე და ბრაზილიელი სერჟინიო. ალბათ გახსოვთ, ნერვიულ და დაძაბულ მატჩში ინციდენტი 59-ე წუთზე მოხდა. კალაძე მოედნის ცენტრთან ახლოს ვინჩენცო მონტელას ეუხეშა. მონტელამ, ეს როგორ გამიბედეო და კახასკენ გაიწია. ჩვენებურმაც არაფერი დაუთმო რომაელთა მეგოლეს. ამასობაში ამ ორს შუა ფრანგი კანდელა ჩადგა და საქმის გარჩევა ჩვენებურთან მან ითავა. კახას თანაგუნდელები გამოექომაგნენ, ანდრეი შევჩენკომ მეგობარი უსიამოვნებას განარიდა. არბიტრმა, გრაციანო ჩეზარიმ კი არც აცია, არც აცხელა და მოჩხუბარნი — კანდელა და კალაძე წითელი ბარათებით „დააჯილდოვა“.

ჰოდა, სწორედ ზემოთქმული ინციდენტი გახდა იტალიელი დისციპლინარების მსჯელობის საგანიც. ვენსან კანდელას სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცეს, რაც შეეხება კალაძეს, როგორც ჩანს, გაითვალისწინეს მისი მძიმე ფსიქოლოგიური მდგომარეობა, „მილანმაც“ უშუამდგომლა, ფსიქოლოგიურად და მორალურად განადგურებულიაო და... მას ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია აკმარეს. ჩემპიონატის გასრულებამდეც ორი ტური დარჩა.

რაც შეეხება იმ მატჩში მესამე გაძევებულ სერჟინიოს, მას მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფა არ ეპატია და ორი მატჩითა და სოლიდური ფულადი ჯარიმით დაისაჯა.

ერთი სიტყვით, ტრავმების გამო თითქმის განახევრებულ „მილანს“ ბოლო ორ ტურში კიდევ ორი წამყვანი ფეხბურთელი — კახა კალაძე და სერჟიო კლაუდიო სერჟინიო გამოაკლდა.

**გიორგი ვაჩნაძე**





LA GAZZETTA DELLO SPORT

არბიტრმა გრაციანო ჩეზარიმ ვენსან კანდელა (მარცხნივ) და კახა კალაძე (№13) მოედნიდან დაითხოვა

სპორტსმენთა ფსიქოლოგიური მომზადება სხვადასხვა დონის ასპარეზობებისთვის,
აგრეთვე სტრესების, დისკომფორტის, შფოთვის, კომპლექსების, დეპრესიის,
შიშების მოხსნა, ურთიერთობების პრობლემების მოგვარება.
მიღება წინასწარ ჩაწერით — 29-26-84.
კონსულტანტი: ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,
დოცენტი ნატა გელოვანი
(მაღალი რანგის სპორტსმენებთან მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილებით)

ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი
♦ სუ ჯოკ აკუპუნქტურა
♦ სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
♦ კვებისა და ფიზიკური რეჟიმის კორექცია
(აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)
მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის
განსაზღვრა უფასო კონსულტაციით
თსსუ ცენტრალური კლინიკა (ყოფილი რესპუბლიკური საავადმყოფო).
I სართული ტელეფონი: 38-67-56; 8 99 107 109


იყიდება
ოროთახიანი სუფთა ბინა 30 კვ.მ. მიშენებით,
დიღმის მასივში, მე-4-ე კვარტალი,
მე-19-ე კორპუსი, ბირველი სართული.
ფასი შეთანხმებით
ტელ.: 95-90-32,
39-71-98,
877 42-82-83

# ვიტ ჯორჯიას საბანკეტოდ არ სცალია



*ერთი ნაბიჯი ყოფილა ვიცე-ჩემპიონობიდან მეოთხეობამდე. დღეს ბევრი აღიარებს, რომ „ვიტ ჯორჯიამ“ სუფთად, სპორტული პრინციპების სრული დაცვით ითამაშა მთელი სეზონი. ვიტელებს მეტიც შეეძლოთ, მაგრამ შანსი ხელიდან გაუშვეს და... მიუხედავად ამისა, ვეტერინარები ევროსარბიელზე მეორედ მოხვდნენ. არსებობის ოთხი არასრული წელიწადის გათვალისწინებით, კლუბის თავკაცს, გურამ რუხაძეს მიღწეული აკმაყოფილებს.*

— სეზონი მთლიანობაში დადებითად შევაფასეთ. ერთი შეხედვით, ვიცე-ჩემპიონობის შემდეგ მეოთხე ადგილი უკან გადადგმული ნაბიჯია, მაგრამ ყველაფრის გათვალისწინებით უკმაყოფილო არ გახლავართ. ჩვენ მეორეობა თუ არა, ბრინჯაოს მოპოვება მაინც შეგვეძლო. შეცდომა ის იყო, რომ ბოლო მატჩამდე საქმე არ უნდა მიგვეყვანა. არა მგონია, საქმე საწუწუნოდ გვქონდეს და ყველა პირობაც არსებობს, რათა სამომავლოდ გაცილებით მაღალი ადგილი დავიკავოთ.

### „ვიტ ჯორჯია“ ჯანზე დადგა

— გასული საფეხბურთო სეზონი გუნდმა ერთი მწვრთნელის თავკაცობით დაიწყო და ისე მოხდა, რომ ფინიშთან რიგით მეოთხემ მიგვიყვანა. მწვრთნელთა ხშირი ცვლის მომხრე სულაც არ გახლავართ, პირიქით, შედეგზე წინ ყოველთვის პიროვნულ ურთიერთობებს ვაყენებდი, მაგრამ რატომღაც ასე აეწყო და მზად ვარ, ყველაფერი ავხსნა.

სერგო კოტრიკაძესთან დღესაც ახლო და გულთბილი დამოკიდებულება გვაქვს. ძალიან დამწყვიტა გული მასთან განშორებამ. ბატონმა სერგომ თავად მიიღო გადაწყვეტილება და იმდენად მტკიცე აღმოჩნდა, რომ წინააღმდეგობა ვერც გავუწიე. მას ჰქონდა ჩინებული მოსამზადებელი პირობები გერმანიაში, ჰყავდა ნორმალური დონის ფეხბურთელები, მაგრამ „ბეითარმა“ უშანსოდ მოგვიგო და...

დავნიშნეთ ვლადიმერ ხაჩიძე. კაცი, რომელიც ერთგულად და თავდადებით ემსახურებოდა კლუბს. მართალი არ ვიქნებოდი, მისთვის შანსი არ მიმეცა. ხაჩიძემ კარგად დაიწყო, მაგრამ მერე და მერე მივხვდით, რომ უჭირდა. „დინამოსთან“ 4:0-ით დამარცხებამ კი ჩვენი გზები გაყარა, რადგანაც ვთვლი, რომ „ვიტ ჯორჯიამ“ ოთხი უპასუხო ბურთით „დინამოსთან“ კი არა, არავისთან არ უნდა წააგოს.

მესამე თავკაცი თემურ მახარაძე იყო. ჩვენ მას ვიცნობდით, როგორც შედეგის მომტან, გამოცდილ მწვრთნელს და გუნდშიც იმ პირობით მივიღეთ, რომ „ვიტ ჯორჯია“ პრიზიორებში მოხვდებოდა. ჩინებული პირობები იტალიაში, მანამდეც გარკვეული შედეგი, თასისთვის ბრძოლაში გათამაშებიდან გამოვთიშეთ „დინამო“, უპრობლემოდ მოვხვდით საპრიზო ექვსეულში, მაგრამ იტალიური შეკრებიდან მობრუნებულ გუნდს ვერ ვცნობდით. უსუსური და უსახური თამაში „გორდასთან“ და „ლოკომოტივთან“. ფაქტი იყო, გუნდმა ვერ იპოვა თავისი თამაში, არც პერსპექტივა ჩანდა. ამიტომ ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე მახარაძეც წავიდა.

ამის შემდეგ გადავწყვიტეთ, უცხოელ სპეციალისტს მივნდობოდით. ჯანი კარნევალი ადრეც გამოთქვამდა ჩვენთან მუშაობის სურვილს, თუმცა პირველად იგი მენეჯერის სტატუსით მივიღეთ და ოფიციალური კონტრაქტიც გავაფორმეთ.

### იტალიელის პირობა: არ დამიწყოთ ქართული

— დიდი ავანსები კარნევალისთვის არც გაგვიცია. მას სტაბილურ გარემოს და ნორმალურ პირობებს შევპირდით და მწვრთნელობაც შეითავსა. მან მალევე დაიმსახურა ჩვენი ნდობა. „ვიტ ჯორჯიას“ გაუჩნდა მკაცრი, შემტევი სტილი, უმაღლეს დონეზე აიყვანა დისციპლინა, როგორც სათამაშო და საწვრთნელი, ასევე მოედნის გარეთაც. კარნევალიმ შეძლო, ფეხბურთელებთან ჩინებული ურთიერთობა დაემყარებინა, ერთი მუშტივით შეკრა ბიჭები.

ჩვენ გავითვალისწინეთ მისი უცხოური კონტაქტები, იტალიაში ჯანი პატივცემული კაცია და საფეხბურთო წრეებშიც ბევრი მეგობარი ჰყავს.

ყველაფერი კი მაინც შედეგმა განაპირობა. კარნევალიმ ცხრა თამაში ოთხი მოიგო, ამდენივე ფრედ დაასრულა და მხოლოდ ერთი წააგო.

იტალიელ სპეციალისტთან „ვიტ ჯორჯიამ“ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ჯანი კარნევალი გუნდის მწვრთნელი და იმავდროულად მენეჯერიც გახლავთ.

### სანდრო კონტის კონტურებით: ბრუნო არ დაგვიბრუნო

— ჯანი კარნევალი ახლა იტალიაშია. ოჯახი მოინახულა და თან ჩვენი ახალგაზრდა ფეხბურთელი, 1985 წელს დაბადებული სანდრო იაშვილი ჩაიყვანა რომში. სანდრო „რომას“ ახალგაზრდულ გუნდშია მიწვეული. ჯანიმ იაშვილი ბრუნო კონტის ჩააბარა, რომელმაც „ტრიგორიას“ საწვრთნელ ბაზაზე დააბინავა და გვერდიდან არ იშორებს. ჯანი კარნევალისგან ვიცი, რომ სანდრომ საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. მის ვიზას ვადა გასდის, თბილისში ჯანისთან ერთად დაბრუნდება და თუ „რომა“ მისით სერიოზულ დაინტერესებას გამოიჩენს, ჩვენ ყველანაირად დავეხმარებით.

ვიცი, საჯაიაზეც დამეკითხებით და ახლავე გიპასუხებთ. კარნევალისა და „ვიტ ჯორჯიას“ კიდევ ერთი მენეჯერისგან, ენცო გამბაროსგან შევიტყვე, რომ ივანო ბონეტის ედიკი ძალიან მოეწონა, მაგრამ ბრიტანეთის შრომის და დასაქმების დეპარტამენტის კანონი, ქვეყნის პირველი გუნდში ნათამაშევი 75 პროცენტი, საჯაიას არ უგროვდებოდა. მიუხედავად ამისა, „დანდის“ ვარიანტი კვლავ დღის წესრიგში დგას. გარდა ამისა, ენცო გამბარო სულ მალე სერია B-ს „ემპოლის“ გენერალურ მენეჯერს უნდა შეხვდეს და საჯაიაზე ესაუბროს. რუმინელი საფეხბურთო აგენტი ჯოვანი ბეკალი ბუქარესტის „სტიაუასთან“ აწარმოებს მოლაპარაკებას. ასევე სოფიის ცსკა-ც იჩენს დაინტერესებას.

### თუ ჯორჯიაა, ზუგდიდიდან თელავამდე!

— ჩვენი პრინციპი ძლიერი სტაბილური შემადგენლობის შენარჩუნება და გუნდის კიდევ უფრო გაძლიერება გახლავთ. ზუგდიდიდან თელავამდე, ყველა ქალაქში შეიძლება გურამ რუხაძე ნახოთ. ჩვენ ხანგრძლივად ვაკვირდებით ყველა ნიჭიერ ახალგაზრდას და მერე ვცდილობთ, გადმოვიბიროთ.

„ვიტ ჯორჯიასთან“ ერთად ახალი სეზონისთვის მოემზადებიან ცხრამეტწლამდელთა ნაკრების წევრი ფეიქრიშვილი, 18 წლის ცქიფურიშვილი, ყოფილი თსუელები — ბეროშვილი, ჯობავა და მეკარე მამარდაშვილი. აგრეთვე 21 წლის არეშიძე და თავდამსხმელი ზურაბ მეტრეველი.

### არავითარი რიდი

— ინტერტოტოს თასზე ჩვენი მეტოქე ავსტრიის ჩემპიონატის მეშვიდეადგილოსანი „რიდი“ გახლავთ. უკვე დავუკავშირდით ჩვენს პარტნიორებს, კორპორაცია „ვაითპოლის“ ავსტრიულ წარმომადგენლობას და მეტოქეზე გარკვეული ინფორმაციებიც შევკრიბეთ. ხვალ-ზეგ ხელთ „რიდის“ თამაშის ორი ვიდეოკასეტა გვექნება, დანარჩენზე კი მოგახსენებთ.

ავსტრიულმა კლუბმა უკვე შეიძინა ქვეყნის ახალგაზრდული გუნდის მცველი ჰანს ფიორსტერი. 23 წლის ნახევარმცველი ტომას ლაიმერი „ლინცერიდან“. „აუსტრიიდან“ გადაიბირა საყრდენი, 25 წლის ჰანს ვინკლბაუერი.

„რიდის“ წამყვანი მოთამაშეები არიან ჰერვიგ დრექსელი (14 გოლი) და მუჰამედ აკაგუნდუზი (13 გოლი), ძლიერ მოთამაშეებად ითვლებიან მილან ორაზე, ნორმან მაპეზა, კრისტოფ ლაუვერსი. მწვრთნელი გამოცდილი ჰელმუტ კრონიაგერია.

უკვე ვესაუბრეთ „რიდის“ გენერალურ მენეჯერ ჰელმუტ სლეზაკს. მათ გვთხოვეს, თბილისში 16 ივნისს გვეთამაშა. დავთანხმდით და მეტოქეს „ეროვნულზე“ ვუმასპინძლებთ, მაგრამ მათ ჯერ პასუხი არ გაუციათ ჩვენს თხოვნაზე. საპასუხო მატჩის ჩატარება 24 ივნისს გვსურს. ჩვენ 22-ში მივფრინავთ თბილისიდან. ავსტრიის ავიახაზების რეისით თბილისი — ვენა. იქ ავტობუსი დაგვხვდება და 250 კილომეტრის გავლის შემდეგ რიდში ჩავალთ. 22 ივნისს ფაქტობრივად გზაში ვიქნებით, ამიტომ 23-ის გამოყენება უპრიანი იქნებოდა.

ალბათ დაგვეთანხმებიან, რადგანაც მათ შეიძლება საკუთარ სტადიონზეც ვერ გვიმასპინძლონ. ბოლომდე არ არის გადაწყვეტილი, შეიძლება რიდიდან 20 კილომეტრში გრიზკირხენის სტადიონზე ვითამაშოთ.

„რიდი“ 8 ივნისამდე შვებულებაშია. 15-ში თბილისში მოფრინავს, აქედან 17-ში გაემგზავრება და 20-ში ამხანაგურად დაბალი ლიგის „ბად ბლეიბერგს“ შეხვდება. თამაშამდე კიდევ დაწვრილებით შევისწავლით მეტოქეს.

### ვიომებთ და ვიფიქრებთ ფრანგებზე

— „ვიტ ჯორჯია“ 27 მაისიდან 4 ივნისამდე ისვენებდა. ფაქტობრივად დრო არ გვქონია და ჩვენი ტრადიციული ბანკეტიც ვერ გავმართეთ, თუმც ღმერთმა ინებოს და ბანკეტიც იქნება.

6 ფეხბურთელი ახალგაზრდული ნაკრებშია გაწვეული, კარნევალი და ისინი თითქმის ერთდროულად ჩაერთვებიან საწვრთნელ პროცესში. თამაშამდე 4 დღით ადრე გუნდი შეკრებაზე გადავა. ვეცდებით, ორი თამაშის ჯამში ავსტრიელები დავამარცხოთ. თუ ეს შევძელით, „ვიტ ჯორჯია“ 25 ივნისს ვენიდანვე საფრანგეთს მიაშურებს და „ტრუასთან“ თამაშისთვის იქ მოემზადება.

**გამუკა ძგანტალიანი**

*ბევრი აქეთ-იქით დადის, მწვრთნელს, მენეჯერს თუ აგენტს შეეკვრება, რომელიმე უცხოურ კლუბში ტრანსფერი რომ გაუკეთოს, გუნდის ძებნაში რამდენიმე ასეულ საათს თვითმფრინავის სალონში ატარებს და სასურველი ტრანსფერი ან გამოვა, ან არა. ბოლო ხანს უცხოური ტრანსფერისთვის ეროვნულ ნაკრებში მოხვედრა იქცა მოდად და რას აღარ გაიგებს და ნახავს კაცი...*

*24 წლის ზაზა ზამთარაძემ კი შუა მარტში თბილისის „დინამოდან“, რომელთანაც კონტრაქტი არც არასდროს აკავშირებდა, გუდა-ნაბადი აიკრა და შვეიცარიაში თამაში განიზრახა. თუმც იმდენი მოახერხა, რასაც ალბათ არავინ ელოდა — ბუნდესლიგის „ფრაიბურგთან“ მოაწერა კონტრაქტს ხელი. თანაც უმენეჯეროდ, უაგენტოდ და ნაკრებში უთამაშებლად. ერთი სიტყვით, ზამთარაძეს „ფრაიბურგში“ ტრანსფერი თითით საჩვენებელი გაგვიხდა.*

# ფინკეს კუს ტბაზეც შეთავაზებია



ზაზა ზამთარაძე

**— ზაზა, ჯერ იმაზე გვითხარი, შვეიცარიაში სათამაშოდ გამზადებული „ფრაიბურგში“ როგორ აღმოჩნდი.**

— თავიდან „ფრაიბურგში“ გადასვლა აზრადაც არ მომსვლია. უბრალოდ, ლევან კობიაშვილი ჩემი მეგობარია და ვთხოვე, დამხმარებოდა, რომელიმე უცხოურ გუნდში მოვხვედრილიყავი. გამოჩნდა შვეიცარიის „ვინტერტურის“ ვარიანტი. ჯერ ფრაიბურგში ჩავედი, ერთი კვირა იქ ვივარჯიშე, ფოლკერ ფინკეც დამაკვირდა და მირჩია, „ვინტერტურში“ წადი გასინჯვაზეო. მეც ჩავედი შვეიცარიაში და „ვინტერტურთან“ სამთვიან კონტრაქტს მოვაწერე ხელი. იქაურ ჩემპიონატში ექვსი თამაში ჩავატარე, სამს ფინკე და „ფრაიბურგის“ მენეჯერი რიტეკიც დაესწრნენ. შვეიცარიაში მცირე ტრავმა მივიღე, რომლის მოსაშუშებლად ფრაიბურგში ჩავედი და მაშინ შემომთავაზეს კონტრაქტი.

**— „ვინტერტურში“ თუ იყო რამე განსაკუთრებული?**

— იქაც ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფიზიკურ მომზადებას. გასულ სეზონის დროს კვირაში სამჯერ ორჯერადი ვარჯიშები გვქონდა უბურთოდ, დაახლოებით 80-წუთიანი. ერთობ დიდი დატვირთვები იყო, მაგრამ ძალების აღდგენისთვის ყველა პირობა არსებობდა. პირველ რიგში ფარმაკოლოგიურ საშუალებას ვგულისხმობ. ხომ დიდ დატვირთვებს გვაძლევდნენ, მაგრამ სპეციალური ვიტამინების მიღების შემდეგ დღის ბოლოს თავს მხნედ ვგრძნობდი.

**— შენ რომ მიდიოდი „დინამოში“ ფინანსური სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა უკეთესობისკენ, თუმც გუნდი უკვე 12 ფეხბურთელს დაეტოვებინა და ასე იოლად შეელიენ ზაზა ზამთარაძეს?**

— მითხრეს, სეზონის ბოლომდე დარჩიო, მაგრამ უცხოეთში თამაშის შანსი გამომიჩნდა და ამას ხელიდან როგორ გავუშვებდი. „დინამოს“ მაშინ ისე აღარ უჭირდა, გუნდს პატრონი გამოუჩნდა. დიდი გაჭირვების დროს ხომ ყველაფერი გუნდთან ერთად გადავიტანე.

**— ვიცი, განსაკუთრებულად მონდომებული იყავი, ინდივიდუალურად ბევრს ვარჯიშობდი და არა მხოლოდ დილმის ბაზაზე. ზაზა ზამთარაძე კუს ტბაზე ხშირად შეუნიშნავთ...**

— ასეა, რაც თავი მახსოვს, სულ კუს ტბაზე ვარ. მიყვარს იქ ვარჯიში, ხანდახან 10-12 კილომეტრსაც კი დავრბივარ ტბის გარშემო. თუ ფეხბურთელმა საკუთარი თავი ინდივიდუალურად არ მოამზადა, ვერავინ და ვერაფერი დაეხმარება.

**— „ფრაიბურგს“ დავუბრუნდეთ. ბევრისთვის მოულოდნელი გამოდგა შენი ამ კლუბში გადასვლა.**

— ამაში უცნაური არაფერია. როცა „დინამოდან“ წავედი, იმის იმედი მქონდა, რომ ნორმალურ უცხოურ გუნდში მოვხვდებოდი.

**— „ვინტერტურში“ და „ფრაიბურგის“ ვარჯიშებზე რა პოზიციაზე გათამაშებდნენ?**

— „ვინტერტურში“ მარჯვენა ნახევარმცველად. ჩემთვის ეს უცხო არ იყო, „დინამოში“ მთელი ფლანგის კონტროლი მევალებოდა, ხოლო იქ უფრო შეტევისთვის ვიყავი შემართული, პირადად მე კი მარჯვენა მცველობა მირჩევნია, ან მთლიანად ფლანგის კონტროლი.

**— „ფრაიბურგში“ ამ პოზიციაზეც დიდი კონკურენცია იქნება. უეჭველია, ფინკე პირადად დაგელაპარაკებოდა ყველაფერზე.**

— კონტრაქტს ხელი რომ მოვაწერე, ფინკეც მაშინ დამელაპარაკა. მითხრა, ამ პოზიციაზე გერმანიის ახალგაზრდული ნაკრების წევრი ტობიას ვილი თამაშობს, შენი მოსვლით კი კონკურენცია გაიზრდება, იმედი მაქვს, თავს კარგად წარმოაჩენ, ძირითადში დამკვიდრებისთვის შანსი აუცილებლად მოგეცემაო.

**— ბანალური კითხვაა, მაგრამ მაინც, იქაურობას როგორ შეეგუე?**

— „ფრაიბურგის“ ხუთ საშინაო თამაშს დავესწარი. შვეიცარიაში ერთი დღით ადრე იყო მატჩები და იქიდან ფრაიბურგამდე სულ რაღაც 110 კილომეტრია. იქაურობასთან შეგუების მხრივ არაფერია უსაშველო. მოსამზადებელი ეტაპიც მალე დაიწყება და როცა გუნდთან ერთად ხარ და ვარჯიშობ, ადვილად უშინაურდები ყველაფერს. თანაც „ფრაიბურგი“ ძალიან მეგობრული კლუბია.

ძალიან მომეწონა ქალაქი. თამაშის მერე იქ ნამდვილი დღესასწაული იმართება, რაღაც წარმოდგენის მაგვარი. მატჩის დაწყებამდეც დიდი აჟიოტაჟია, ხალხი ოთხი საათით ადრე მიდის სტადიონზე.

**— გუნდში უკვე ხუთი ქართველი ხართ. ვიღაც-ვიღაცეებს ხომ არ აღიზიანებთ?**

— ცუდი თვალით იქ ჩვენთვის არავის შემოუხედავს, თუმც შეიძლება ვიღაც გულში სხვაგვარად ფიქრობდეს, მაგრამ არავის უგრძნობინებია. პირიქით, ქართველებს დიდად ემადლიერებიან. ქართველების გარეშე „ფრაიბურგი“ წარმოუდგენელია.

**— კობიაშვილს და იაშვილს სხვა უფრო სახელოვან გუნდში გასხვისებას ხომ არ უპირებენ?**

— არა, რას ამბობთ, „ფრაიბურგმა“ ხომ უეფას თასზე უნდა ითამაშოს და წამყვან ფეხბურთელებს გაუშვებს? ყოველ შემთხვევაში, იანვრამდე ხუთივე ქართველი „ფრაიბურგში“ ვიქნებით. გუნდიდან მხოლოდ ბაია და ვაისჰაუპტი წავიდნენ, მათ კონტრაქტი დაუმთავრდათ და ძირითად შემადგენლობაშიც ველარ ხვდებოდნენ.

**— შვებულება როდის გიმთავრდებათ?**

— 20 ივნისს დილის ათ საათზე პირველი ვარჯიში გველის, სამი დღის შემდეგ კი ათდღიან შეკრებაზე წავალთ გერმანიის ერთ-ერთ ბაზაზე. უცხოური შეკრება, ალბათ, არ მოესწრება, რადგან წლეულს ბუნდესლიგა ჩვეულებრივზე ორი კვირით ადრე დაიწყება — გაისად ხომ მსოფლიოს ჩემპიონატია და ნაკრებს მოსამზადებლად დრო სჭირდება. კლუბმა ბინა უკვე გამომიყო და ფრაიბურგშიც, რა თქმა უნდა, მეუღლესთან და სამი წლის ვაჟიშვილთან ერთად ჩავალ.

**— „ფრაიბურგში“ შენი ტრანსფერი მოულოდნელად აღიქვესო ვთქვით, იმედია, ზაზა ზამთარაძის ძირითადში გამოჩენა და კარგი თამაში მოულოდნელობა აღარ იქნება...**

— მეც მაგის იმედი მაქვს, ვეცდები, ჩემი საუკეთესო მხარეები წარმოვაჩინო და ქართველების იმიჯი კიდევ უფრო განვამტკიცო.

**დავით თავართქილაძე**

# გაბელაია ვეტერინარი გახდა

**სერგო გაბელაიას**, გამოცდილი მწვრთნელიაო, ვერავინ წამოაძახებს. მას თავის დროზე „მგლები“ გაუწვრთნია და ფოთის „კოლხეთშიც“ უმუშავია.

მის აქტივში შეიძლება ჩაითვალოს წლების მანძილზე „მერანში“ ნაყოფიერი მუშაობა. ავჭალელებს გაბელაია პირველი ეტაპის შემდეგ საკმაოდ გაურკვეველ ვითარებაში დაშორდა. იმის შემდეგ უმუშევარი იყო. ერთხანს გერმანიაში, კიოლნის სამწვრთნელო სკოლაში აპირებდა ცოდნის გაღრმავებას, მაგრამ რატომღაც იქ გამგზავრება დროებით შეფერხდა.

31 მაისიდან კი გაბელაია „ვიტ ჯორჯია 2“-ის მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. ასეთი იყო კლუბის ხელმძღვანელთა გადაწყვეტილება.

„გუნდს გავეცანი, ფაქტობრივად მეტს ვერაფერს მოგახსენებთ, ბიჭები შვებულებაში გავუშვით, რეგიონული ლიგის კალენდარით სექტემბრამდე თამაშები არ არის. ასე რომ, დრო საკმაო გვაქვს. მანამდე სამოქმედო გეგმას შევადგენ და ვნახოთ, რა გამოვა“ — გვითხრა გუშინ მწვრთნელმა.

ფაქტი ერთია, გაბელაიას ჩვენში პატიოსან და უმწიკვლო მწვრთნელის რეპუტაცია აქვს, ვეტერინარ ახალგაზრდებთან მუშაობა არ უნდა გაუჭირდეს.

**დათო დანელია**

# აბა, ის თვე რა თვე არის...

**მგონი,** „ცისფერი ტრიო“ მღეროდა — აბა, ის დღე რა დღე არის, შენ თუ ველარ გიხილეო. ცისფერი კი ერქვა, მაგრამ აშკარად ქალს უმღეროდნენ. მშვენიერი სქესის საწინააღმდეგო, ცხადია, არც ჩვენ გვაქვს რამე, თუმცა სპორტული გაზეთი გვქვია და ამ შემთხვევაში ულამაზეს საფეხბურთო ტურნირს, უეფას ჩემპიონთა ლიგას წავუმღეროთ — აბა, ის თვე რა თვე არის...

დიახ, ივნისი წელიწადის თორმეტ თვეთაგან ერთ-ერთი იმ იშვიათთაგანია, როცა ევროპის ჩემპიონთა თასზე არაფერი ხდება. უფრო სწორად, არაფერი ხდება მოედანზე, თორემ ორიოდ კვირაში, 22 ივნისს, უეფას შტაბ-ბინაში მომავალი გათამაშების პირველი და მეორე საკვალიფიკაციო ეტაპების წილისყრა მოეწყობა.

სწორედ იქ, შვეიცარიულ ნიონში გაირკვევა საქართველოს ჩემპიონის ქუთაისის „ტორპედოს“ მეტოქის, აგრეთვე უეფას თასზე გასული ორი თბილისური გუნდის მოწინააღმდეგეთა ვინაობა.

ცნობილია, რომ ევროტურნირებში ამა თუ იმ ქვეყნის წარმომადგენლობა უეფას კოეფიციენტთა ცხრილით დგინდება. დიდი ხანია, იქ იტალია ლიდერობდა, მაგრამ ესპანელებმა იმდენი მოახერხეს, ბოლო 5 სეზონის მონაცემებით მეზობლებს გაუსწრეს და ცხრილის სათავეში მოექცნენ. თუმცა ლიგასა და უეფას თასზე წარმომადგენლობა სერია A-ს ამით არ დაუკარგავს — ისევე როგორც პრიმერადივიზიონი და ბუნდესლიგა, ჩემპიონთა ტურნირზე ოთხს, უეფას თასზე კი სამ გუნდს გამოიყვანს (თუ, რა თქმა უნდა, ინტერტოტოს წყალობით კიდევ ვინმე არ მოხვდა უეფას თასზე). ლიგის ოთხი გუნდიდან ეს სამი ქვეყანა ორ-ორს პირდაპირ ჯგუფში წარგზავნის, დარჩენილი ორი კი ბოლო, მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე შეეცდება ჯგუფურ ტურნირში შეღწევას.

ამავე ეტაპზე მოუწევს ლიგის საგზურის მოპოვება უეფას თასის ამჟამინდელ მფლობელ „ლივერპულს“, რომელიც პრემიერლიგაში მესამე ადგილზე გავიდა. ზედა ორი, „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „არსენალი“, პირდაპირ ჯგუფში არიან წამოსკუპებულნი. ანალოგიურადაა ჰოლანდიელთა (შოთა არველაძის „აიაქსი“ შესარჩევ ეტაპზეა დაშვებული) და ფრანგთა საქმეც. კიდევ ოთხი ქვეყანა — რუსეთი, ჩეხეთი, საბერძნეთი და პორტუგალია — ჯგუფში მხოლოდ ჩემპიონებს წარადგენს, ვიცე-ჩემპიონებს კი ამ სიამოვნების მისაღწევად ერთი ბარიერის დაძლევა მოუწევთ.

რაც შეეხება საქართველოს, ჩვენი გუნდების ბოლოდროინდელი მეტად წარუმატებელი გამოსვლის გამო, ამჯერად ქუთაისის „ტორპედო“ არა მეორე, არამედ პირველივე შესარჩევი წრიდან დაიწყებს თამაშს, უეფას თასზე კი ყველაფერი ძველებურადაა: „დინამოცა“ და „ლოკომოტივიც“ ყველაზე ადრეული ეტაპიდან ჩაებმებიან ბრძოლაში.

გუშინ უეფამ ფეირ-პლეის სამი საგზურით ფინეთი, სლოვაკეთი და ბელარუსი დააჯილდოვა. ამათი თითო გუნდი უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშებს.

ქვემოთ, ტრადიციულად, ორივე ტურნირის ფორმატს შემოგთავაზებთ, მონაწილეთა უმრავლესობა უკვე გარკვეულია, თუმცა კითხვის ნიშნებიც არაერთი შეგვხვდებათ — ზოგან (ესპანეთი, იტალია, იუგოსლავია...) ჩემპიონატი არ დამთავრებულა, ზოგან კი თასის ფინალი არ ჩატარებულა.

მოკლედ, სულ ცოტა ხანიც და ევროპული, განსაკუთრებით კი სალიგო ციებ-ცხელება ისევ დაიწყება, კონტინენტის მომავალი საკლუბო მეფე კი 2002 წლის 15 მაისს, გლაზგოს „ჰემპდენ პარკზე“ გაირკვევა.

**გიგა ძოგახიძე**

## ჩემპიონთა ლიგა / უეფას თასი

| ჩემპიონთა ლიგა: ჯგუფური ეტაპი 11.09-დან 31.10-მდე | III საკვალ. ეტაპი 7-8.08—21-22.08 | II საკვალ. ეტაპი 25.07—1.08 | I საკვალ. ეტაპი 11.07—18.07 | | | | უეფას თასი: საკვალიფიკაციო ეტაპი 9.08—23.08 | პირველი ეტაპი 13.09—27.09 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი, ? | ?, ? | | | 4 | ესპანეთი | 3 | | ?, ?, ? |
| ?, ? | ?, პარმა | | | 4 | იტალია | 3 | | ?, ?, ფიორენტინა |
| ბაიერნი, შალკე | დორტმუნდი, ლევერკუზენი | | | 4 | გერმანია | 3 | | უნიონი, ჰერტა, ფრაიბურგი |
| ნანტი, ლიონი | ლილი | | | 3 | საფრანგეთი | 3 | | სტრასბური, სედანი, ბორდო |
| მანჩესტერ იუნ., არსენალი | ლივერპული | | | 3 | ინგლისი | 3 | | ლიდსი, იფსვიჩი, ჩელსი |
| პსვ, ფეიენოორდი | აიაქსი | | | 3 | ჰოლანდია | 3 | | ტვენტე, როდა, უტრეხტი |
| სპარტაკი | ლოკომოტივი | | | 2 | რუსეთი | 4 | | ანჟი, ტორპედო, დინამო, ჩერნომორეცი |
| სპარტა | სლავია | | | 2 | ჩეხეთი | 4 | | ჟიჟკოვი, სიგმა, პრიბრამი, ლიბერეცი |
| ოლიმპიაკოსი | პანათინაიკოსი | | | 2 | საბერძნეთი | 2 | აეკ | პაოკ |
| ბოავიშტა | პორტუ | | | 2 | პორტუგალია | 2 | სპორტინგი | მარიტიმუ |
| | ფენერბაჰჩე | გალათასარაი | | 2 | თურქეთი | 2 | გაზიანთეფი | გენჩლერბირლიგი |
| | ? | ? | | 2 | უკრაინა | 2 | ? | ცსკა (კიევი) |
| | რუსენბორგი | ბრანი | | 2 | ნორვეგია | 2 | ვიკინგი | ოდსი |
| | გრასჰოპერი | ლუგანო | | 2 | შვეიცარია | 2 | სენტ გალენი | ? |
| | სელტიკი | რეინჯერსი | | 2 | შოტლანდია | 2 | კილმარნოკი | ჰიბერნიანი |
| | ტიროლი | | | 1 | ავსტრია | 3 | გრაცერი, რაპიდი | კარნტენი |
| | | ანდერლეხტი | | 1 | ბელგია | 3 | ბრიუგე, სტანდარდი | ვესტერლო |
| | | ? | | 1 | დანია | 3 | ?, ? | ? |
| | | ვისლა | | 1 | პოლონეთი | 3 | ?, ?, პოლონია | |
| | | სტიაუა | | 1 | რუმინეთი | 3 | ?, ?, ? | |
| | | ჰაიდუკი | | 1 | ხორვატია | 3 | ვარტექსი, ოსიეკი, დინამო (ზაგრები) | |
| | | ჰალმსტადი | | 1 | შვედეთი | 2 | ელფსბორგი, ჰელსინგბორგი | |
| | | ? | | 1 | უნგრეთი | 2 | ?, ? | |
| | | მაკაბი (ჰაიფა) | | 1 | ისრაელი | 2 | მაკაბი (თელ ავივი), ჰაპოელი (თელ ავივი) | |
| | | ? | | 1 | სლოვაკეთი | 3 | ?, ?, რუზომბეროკი | |
| | | მარიბორი | | 1 | სლოვენია | 2 | ოლიმპია, ნოვა გორიცა | |
| | | ომონია | | 1 | კვიპროსი | 2 | აპოლონი, ოლიმპიაკოსი | |
| | | ? | | 1 | იუგოსლავია | 2 | ?, ? | |
| | | | ლევსკი | 1 | ბულგარეთი | 2 | ლოვეჩი, ცსკა | |
| | | | ტორპედო | 1 | საქართველო | 2 | ლოკომოტივი, დინამო | |
| | | | სკონტო | 1 | ლატვია | 2 | ვენტსპილსი, დინაბურგი | |
| | | | ჰაკა | 1 | ფინეთი | 3 | ჰიკ, იოკერიტი, მიუპა | |
| | | | სლავია (მოზირი) | 1 | ბელარუსი | 3 | ბელშინა, ბატე, შახტიორი | |
| | | | ? | 1 | მოლდოვა | 2 | ?, ნისტრუ (ოტაჩი) | |
| | | | რეიკიავიკი | 1 | ისლანდია | 2 | აკრანესი, ფილკირი | |
| | | | სლოგა იუგომაგნატი | 1 | მაკედონია | 2 | პელისტერი, ვარდარი | |
| | | | კაუნასი | 1 | ლიტვა | 2 | ჟალგირისი, ? | |
| | | | ლევადია | 1 | ესტონეთი | 2 | ტრანსი, ფლორა | |
| | | | ბერი თაუნი | 1 | უელსი | 2 | ლანსანტფრეიდი, ქუიმბრან თაუნი | |
| | | | არაქსი | 1 | სომხეთი | 2 | არარატი, მიკა | |
| | | | ბოჰემიანსი | 1 | ირლანდია | 2 | ლონგფორდ თაუნი, შელბურნი | |
| | | | ვალეტა | 1 | მალტა | 2 | ბირკირკარა, სლიმა | |
| | | | ლინფილდი | 1 | ჩრდ. ირლანდია | 2 | გლენტორანი, გლენავონი | |
| | | | ვაგური | 1 | ფარერები | 2 | გოტუ, ტორსჰავნი | |
| | | | დუდელანჟი | 1 | ლუქსემბურგი | 2 | გრევენმახერი, ეტელბრიუკი | |
| | | | შამქირი | 1 | აზერბაიჯანი | 2 | ნეფთჩი, შაფა | |
| | | | | | ლიხტენშტაინი | 1 | ვადუცი | |
| | | | ვლაჟნია | 1 | ალბანეთი | 2 | ტირანა, დინამო | |
| | | | ? | 1 | ბოსნია | 2 | ?, ? | |
| | | | | | ანდორა | 1 | სანტა კოლომა | |
| | | | | | სან მარინო | 1 | კოსმოსი | |



ლეონარდო

# აქაურსა აქ მოიყვან

„მილანის“ ბრაზილიელი ნახევარმცველი ლეონარდო ევროპულ კარიერას ასრულებს და სამშობლოში ბრუნდება. ეს თითქმის გადაწყვეტილი ამბავია. „სან პაულუს“ ახალმა მენეჯერმა ნელსონ ბატისტამ დაადასტურა, რომ ყოველ ღონეს იხმარს საიმისოდ, რათა 32 წლის ფეხბურთელი კვლავ მიიწვიოს კლუბში, რომლის ღირსებასაც იგი 1991-დან 94 წლამდე იცავდა.

1994 წელს ლეონარდომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშა და უმალ მიიპყრო ევროპული კლუბების ყურადღება, საბოლოოდ კი მისი ხელში ჩაგდება „პარი სენ ჟერმენმა“ შეძლო. მომავალი სამი სეზონი მან საფრანგეთის დედაქალაქში გაატარა.

1997 წელს ლეონარდოთი სერიოზულად დაინტერესდა „მილანი“, ფრანგებთან მალევე მიაღწია შეთანხმებას და ტექნიკითა და საზრიანი თამაშით გამორჩეული ნახევარმცველი „სან სიროზე“ გადაიყვანა. ლეონარდომ ძირითად შემადგენლობაშიც დაიმკვიდრა ადგილი და პირველ სეზონში 3 გოლი გაიტანა. მომდევნო წელიწადი უკეთესი გამოდგა, ეს იყო მისთვის საუკეთესო მილანური სეზონი.

„მილანიდან საუკეთესო მოგონებები გამყვება. უდიდეს კლუბში თამაშით გამოცდილება შევიძინე. მართალია, ეს ყველაფერი იოლი არ იყო, მაგრამ გულშემატკივრები ძალიან დამეხმარნენ. ყველას დიდი მადლობას ვუხდი“ — განაცხადა ნახევარმცველმა „მილანის“ საინტერნეტო გვერდზე.

ამრიგად, ლეონარდო ბრუნდება კლუბში, სადაც ევროპაზე არანაკლებ წარმატებას მიაღწია, მოიგო ლიბერტადორესისა და საკონტინენტთაშორისო თასები.

ცოტა ხნის წინ ბრაზილიელთან აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებდა ბერძნული „ოლიმპიაკოსი“, თუმცა, როგორც გაცხადდა, პირეოსელებს თავად ლეონარდომ განუცხადა უარი და საბოლოოდ „სან პაულუს“ წინადადებას დათანხმდა.

**ნიკა შუბლაძე**


ყოველკვირეული
გაზეთი
სარბიელი
თავის ფასში
ტელეფონით!
ხელმოწერა 1 თვით, 2 თვით,
3 თვით, 6 თვით, 12 თვით.
98-89-09, 26-10-80, (899) 55-30-97
ფოსტის ყუთები და
დამონტაჟება უფასოა!
„პრეს-მობილი“


## ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

UNDER-21 Championship

### I ჯგუფი

**შვეიცარია 2:1 სლოვენია**

1:0, 2:0 გიგა (28, 73), 2:1 შეკიჩი (82)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 5 | 3 | 2 | 0 | 14:5 | 11 |
| სლოვენია | 6 | 2 | 2 | 2 | 8:5 | 8 |
| იუგოსლავია | 5 | 2 | 2 | 1 | 10:8 | 8 |
| რუსეთი | 5 | 2 | 2 | 1 | 7:5 | 8 |
| ლუქსემბურგი | 5 | 0 | 0 | 5 | 1:17 | 0 |

### II ჯგუფი

**ესტონეთი 0:3 ირლანდია**

0:1, 0:2 ბარეტი (7, 60), 0:3 გუდვინი (89)

**პორტუგალია 7:0 კვიპროსი**

1:0 სიმაო (1), 2:0 საბროსონი (17ს.კ.), 3:0, 4:0 პაულუ კოშტა (27, 38), 5:0 მონტეირუ (41), 6:0 სიმაო (45), 7:0 რიკარდუ სოუზა (78პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 6 | 5 | 1 | 0 | 18:3 | 16 |
| ჰოლანდია | 6 | 4 | 1 | 1 | 13:6 | 13 |
| ირლანდია | 6 | 3 | 0 | 3 | 6:6 | 9 |
| კვიპროსი | 5 | 1 | 0 | 4 | 5:14 | 3 |
| ესტონეთი | 5 | 0 | 0 | 5 | 2:15 | 0 |

### III ჯგუფი

**დანია 3:0 მალტა**

1:0 ლოვენკრანდსი (6), 2:0 მ. ლარსენი (82), 3:0 ანდრეასენი (87)

**ჩეხეთი 4:0 ჩრდ. ირლანდია**

1:0, 2:0 კაუფმანი (23, 48), 3:0 კობილიკი (54), 4:0 ვაჩუშეკი (59)

**ისლანდია 3:2 ბულგარეთი**

1:0 გუდიონსონი (40), 2:0 ბალდვინსონი (50), 2:1 დიმიტროვი (54), 3:1 ადალსტეინსონი (68), 3:2 საკალიევი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 7 | 6 | 0 | 1 | 16:5 | 18 |
| ბულგარეთი | 7 | 4 | 2 | 1 | 11:6 | 14 |
| დანია | 7 | 2 | 3 | 2 | 11:9 | 9 |
| ისლანდია | 7 | 2 | 2 | 3 | 10:11 | 8 |
| ჩრდ. ირლანდია | 7 | 2 | 1 | 4 | 9:14 | 7 |
| მალტა | 7 | 0 | 2 | 5 | 1:13 | 2 |

### IV ჯგუფი

**აზერბაიჯანი 0:0 სლოვაკეთი**

**თურქეთი 2:0 მაკედონია**

1:0 გიოქთანი (51), 2:0 სერპათი (54)

**შვედეთი 3:0 მოლდოვა**

1:0 ელმანდერი (13), 2:0 იბრაჰიმოვიჩი (37), 3:0 ფარნერუდი (72)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 7 | 5 | 2 | 0 | 17:1 | 17 |
| თურქეთი | 7 | 5 | 1 | 1 | 12:3 | 16 |
| სლოვაკეთი | 7 | 4 | 2 | 1 | 12:5 | 14 |
| აზერბაიჯანი | 7 | 1 | 2 | 4 | 3:16 | 5 |
| მოლდოვა | 7 | 1 | 1 | 5 | 3:11 | 4 |
| მაკედონია | 7 | 1 | 0 | 6 | 4:15 | 3 |

### V ჯგუფი

**სომხეთი 2:0 პოლონეთი**

1:0 ალექსანიანი (55), 2:0 აიკ აკოფიანი (71)

**უკრაინა 1:0 უელსი**

1:0 მოლოკუცკო (56პ)

**ნორვეგია 5:1 ბელარუსი**

1:0 კაპი (11), 2:0 პოფი (36), 3:0 ვალენსია (51), 3:1 გლები (66), 4:1 ჯორჯი (76პ), 5:1 რიისე (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 7 | 5 | 0 | 2 | 19:7 | 15 |
| უკრაინა | 7 | 4 | 1 | 2 | 11:9 | 13 |
| ბელარუსი | 7 | 4 | 0 | 2 | 15:8 | 12 |
| პოლონეთი | 7 | 3 | 2 | 2 | 11:11 | 11 |
| სომხეთი | 7 | 3 | 1 | 3 | 7:13 | 10 |
| უელსი | 7 | 0 | 0 | 7 | 2:17 | 0 |

### VI ჯგუფი

**ლატვია 1:1 ხორვატია**

0:1 მიკიჩი (53), 1:1 კალნსი (86)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბელგია | 4 | 4 | 0 | 0 | 8:1 | 12 |
| ხორვატია | 4 | 2 | 1 | 1 | 7:5 | 7 |
| შოტლანდია | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 |
| ლატვია | 5 | 0 | 1 | 4 | 3:11 | 1 |

### VII ჯგუფი

**ისრაელი 0:1 ესპანეთი**

0:1 პაბლო (42)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 6 | 4 | 2 | 0 | 12:6 | 14 |
| ესპანეთი | 6 | 4 | 1 | 1 | 11:4 | 13 |
| ისრაელი | 6 | 2 | 0 | 4 | 7:10 | 6 |
| ავსტრია | 5 | 1 | 2 | 2 | 4:6 | 5 |
| ბოსნია | 5 | 0 | 1 | 4 | 2:10 | 1 |

### VIII ჯგუფი

**ლიტვა 1:0 რუმინეთი**

1:0 ბენიუსისი (24)

ლიტვა: რამონასი, სობოლისი, ჩეპაუსკასი, სტანკევიჩიუსი, ალუნდერისი, გრიგასი, კუჩისი (ლეშჩისი 46), რინგისი, ჩესნაუსკასი (საულენასი 73), კარჩემასკასი (ჩეპოვასი 46), ბენიუსისი

რუმინეთი: დოლია, ბალანი (იაკობი 32), რატ დინზა, მარინკაუ, მაფტეი, დანზია (პეტრე 68), პატრასკუ, სანმარტეანი, დრაგანი, პარასკივი (ვ. მუნტეანუ 77), ნიაგა

გაფრთხილება: დანზია (35)

გაძევება: რატ დინზა (68)

მსაჯი: მარკო ტურა (იტალია)

3 000 მაყურებელი

**უნგრეთი 2:1 საქართველო**

0:1 მელქაძე (44), 1:1 ბოდნარი (61პ), 2:1 ტერიეკი (85)

უნგრეთი: ტაფაჩი, ფეჰერი, კოროლოვსკი, ზაბოში (უდვარი 60), ბოზატი (ბეჟაკი 53), ბოგნარი, ლალიმოში (ტერიეკი 64), შამეკი, სავიჩი, გერა, ბოდნარი

საქართველო: ლომაია, საჯაია, ხიზანეიშვილი, შაშიაშვილი, ჯ. მუჯირი, გველესიანი, დევიძე (კაკაშვილი 89), დილმელაშვილი, კორძალიძე (გ. ნოზაძე 64), ასათიანი (ბურდული 35), მელქაძე

გაფრთხილება: დილმელაშვილი (40), ბოდნარი (51), მელქაძე (57), საჯაია (69), გერა (85)

მსაჯი: ს. ზრნიჩი (ბოსნია)

5 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 6 | 5 | 1 | 0 | 11:3 | 16 |
| რუმინეთი | 6 | 3 | 1 | 2 | 8:3 | 10 |
| უნგრეთი | 5 | 3 | 0 | 2 | 7:6 | 9 |
| ლიტვა | 6 | 2 | 0 | 5 | 4:10 | 6 |
| საქართველო | 5 | 0 | 0 | 5 | 4:12 | 0 |

### IX ჯგუფი

**საბერძნეთი 3:1 ინგლისი**

1:0 პაპადოპულოსი (26), 2:0 ვაკუფისი (42), 3:0 ტერი (60ს.კ.), 3:1 კარიკი (86)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 6 | 4 | 1 | 1 | 10:4 | 13 |
| გერმანია | 5 | 3 | 1 | 1 | 14:5 | 10 |
| ინგლისი | 5 | 2 | 2 | 2 | 9:6 | 8 |
| ფინეთი | 5 | 1 | 1 | 3 | 7:12 | 4 |
| ალბანეთი | 5 | 0 | 1 | 4 | 0:13 | 1 |



იტალიურ პრესაში ფილიპო ინძაგის უკვე „მილანის“ მაისურა ჩააცვეს

# გალიანიმ ფილიპო ინძაგი მილანში თითქმის გადაიყვანა

**ეს ფოტო** „გაძეტა დელო სპორტის“ ფოტორეპორტიორ კარლო ლაუდიზას ნახელავია და ალბათ იცანით, ვინც არის მასზე აღბეჭდილი — ფილიპო ინძაგი „მილანის“ შავ-წითელ მაისურაში.

გუშინ კი, უკვე ვწერდით, გალიანი და ბერლუსკონი უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს. შეხვდნენ, ითათბირეს და „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტი ტურინში გაფრინდა, სადაც თავის იუვენტუსელ კოლეგას, ანტონიო გირაუდოს შეხვდა. ცხადია, კონფიდენციალურ საუბარს სხვა არავინ დასწრებია.

მოლაპარაკებამ დაახლოებით ორსაათნახევარი გასტანა. გადავა თუ არა ფილიპო ინძაგი „იუვენტუსიდან“ „მილანში“?

ადრიანო გალიანიმ გირაუდოსთან საუბრის მერე რადიოინტერვიუში თქვა: „გირაუდოსთან საუბრით კმაყოფილნი ვართ. შევთანხმდით, „მილანი“ ლილიან ტურამის გადაბირებაში „იუვენტუსს“ არ შეეცილება, სამაგიეროდ, სეზონის დასრულების შემდეგ ფილიპო ინძაგი „სან სიროზე“ გადმოვა. რაც შეეხება სატრანსფერო თანხას და კონტრაქტის პირობებს, მისი გაცხადებისგან ჯერჯერობით თავს ვიკავებთ. ვიცით ინძაგის სურვილიც, მას მოსწონს „მილანი“ და ჩვენთან გადმოსვლის წინააღმდეგი არ არის. იმედია, ყველაფერი კარგად დასრულდება და „იუვენტუსიც“ სიტყვას არ გატეხს“.

**გიორგი ვაჩნაძე**


იყიდება
როტვეილერის
ლეკვები
☎ 39 42 65
(საღამოს. 19⁰⁰-21⁰⁰)


## მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
## ოკეანეთი

**II ჯგუფი. II ტური**

ახალი ზელანდია — ტაიტი 5:0; ვანუატუ — კუკის კ-ები 8:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოლომ. კ-ები | 1 | 1 | 0 | 0 | 9:1 | 3 |
| ახ. ზელანდია | 1 | 1 | 0 | 0 | 5:0 | 3 |
| ვანუატუ | 2 | 1 | 0 | 1 | 9:7 | 3 |
| ტაიტი | 2 | 1 | 0 | 1 | 6:6 | 3 |
| კუკის კ-ები | 2 | 0 | 0 | 2 | 2:17 | 0 |

8 ივნისი: ვანუატუ — სოლომონის კ-ები; ახალი ზელანდია — კუკის კები

## არგენტინა

**კლაუსურა**

მე-18 ტური: ნიუელს ოლდ ბოიზი — ინდეპენდიენტე 0:1; ბოკა ხუნიორსი — ჩაკარიტა ხუნიორსი 4:4; არგენტინოს ხუნიორსი — სან ლორენსო 0:2; უნიონი — ლოს ანდესი 4:2; ხიმნასია (ლა პლატა) — ტალერესი 2:1; რასინგი — როსარიო სენტრალი 4:1; ლანუსი — ესტუდიანტესი 0:2; ბელგრანო — კოლონი 3:1; ალმაგრო —ველეს სარსფილდი 1:2; ურაკანი — რივერ პლეიტი 3:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სან ლორენსო | 18 | 14 | 2 | 2 | 41:16 | 44 |
| რივერ პლეიტი | 18 | 13 | 2 | 3 | 47:25 | 41 |
| არგ. ხუნიორსი | 18 | 8 | 5 | 5 | 26:20 | 29 |
| ბოკა ხუნიორსი | 18 | 8 | 5 | 5 | 28:25 | 29 |
| ურაკანი | 18 | 8 | 4 | 6 | 28:26 | 28 |
| რასინგი | 18 | 6 | 8 | 4 | 20:20 | 26 |
| ესტუდიანტესი | 18 | 7 | 5 | 6 | 22:23 | 26 |
| ჩაკარიტა | 18 | 7 | 5 | 6 | 19:24 | 26 |
| ტალერესი | 18 | 7 | 3 | 8 | 22:22 | 24 |
|ველესი | 18 | 6 | 6 | 6 | 23:24 | 24 |
| ოლდ ბოიზი | 18 | 7 | 2 | 9 | 26:27 | 23 |
| ალმაგრო | 18 | 6 | 5 | 7 | 24:25 | 23 |
| კოლონი | 18 | 6 | 5 | 7 | 19:24 | 23 |
| უნიონი | 18 | 5 | 5 | 8 | 31:34 | 20 |
| ინდეპენდიენტე | 18 | 5 | 4 | 9 | 18:20 | 19 |
| ლანუსი | 18 | 5 | 4 | 9 | 26:29 | 19 |
| ხიმნასია | 18 | 4 | 6 | 8 | 20:25 | 18 |
| ლოს ანდესი | 18 | 4 | 6 | 8 | 21:30 | 18 |
| ბელგრანო | 18 | 4 | 5 | 9 | 15:25 | 17 |
| როსარიო | 18 | 4 | 5 | 9 | 23:35 | 17 |


რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

ეროვნული ბიბლიოთეკა



კოლუმბიის პრეზიდენტი ანდრეს პასტრანა (მარჯვნივ) და ნიკოლას ლეოსი

# კოლუმბიის პრეზიდენტმა პასუხისმგებლობა იკისრა

## კოპა ამერიკას მტრედები დაასხდებიან?

**პარაგვაის** დედაქალაქ ასუნსიონში, სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაციის საგანგებო სხდომაზე გადაწყდა, რომ ივლისში დაგეგმილი კოპა ამერიკის გათამაშება კოლუმბიაში ჩატარდება. თითქოს უცნაურია, კარგა ხნის წინ ნათქვამს და ბეჭედდასმულს, რაღა დადასტურება უნდოდა, მაგრამ ეს გადაწყვეტილება საბოლოოდ კოლუმბიის დელეგაციასთან მოლაპარაკების შემდეგ მიიღეს.

საქმე ისაა, რომ ბოგოტაში, კალისა და მედელინში ბოლო დროს მომხდარმა აფეთქებებმა სამოქალაქო ომითა და დამნაშავეობის მაღალი დონით ისედაც სახელგატეხილ კოლუმბიას კოპა ამერიკაც კინაღამ დააკარგვინა. სხდომაზე კოლუმბიელებმა, რომელთა შორის კოპა ამერიკას მასპინძელი შვიდივე ქალაქის მერი იყო, დაარწმუნეს კონფედერაციის პრეზიდენტი ნიკოლას ლეოსი, რომ ტურნირი ყოველგვარი პრობლემის გარეშე ჩაივლიდა. „ჩვენ უნდა გავამართლოთ სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაციის ნდობა, ეს თასი მშვიდობის თასად უნდა იქცეს“ — განაცხადა კოლუმბიის პრეზიდენტმა ანდრეს პანტანამ. მისი თქმით, ტურნირის მონაწილეებს 20 000 პოლიციელი დაიცავს. შეგახსენებთ, რომ ათი სამხრეთამერიკული გუნდის გარდა კანადა და მექსიკა ამ ტურნირზე სტუმრის სტატუსით ითამაშებენ.

**სერგი ჟორჟაძე**

# ვალენსია სტუდენტი ტორეადორის ხელშია

**როგორც** იქნა, გაირკვა „ვალენსიას“ მწვრთნელის, არგენტინელი ექტორ რაულ კუპერის შემცვლელის ვინაობა. დირექტორთა საბჭომ ამ თანამდებობაზე „ტენერიფეს“ დამრიგებელი რაფაელ ბენიტესი ერთხმად დაასახელა. სეზონის დასრულებისთანავე კუპერი მილანში გადაბარგდება და იქაურ „ინტერს“ ჩაიბარებს.

41 წლის ბენიტესი კუპერისეული მიღწევებით ვერ დაიკვეხნის, საერთაშორისო გამოცდილება არ აქვს, არასოდეს გაუწვრთნია „ვალენსიის“ დონის გუნდი. „ტენერიფემდე“ ის მადრიდის „რეალის“ სარეზერვო გუნდში მუშაობდა, რომელიც იმ დროისთვის მეორე დივიზიონში თამაშობდა.

ბენიტესი ორი სეზონი დარჩება ვალენსიაში და გასამრჯელოდ წელიწადში 638 ათას დოლარს მიიღებს. ეს თანხა სამჯერ ნაკლებია კუპერის ხელფასზე.

გავიხსენოთ, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალისტ „ვალენსიას“ ბენიტესამდე უფრო გამოცდილ მწვრთნელებზე ეჭირა თვალი, მაგრამ ხავიერ ირურეტამ, ხოსე მანუელ ესნალ პარდომ და ლუის არაგონესმა „ვალენსია“ იუარეს.

ბენიტესი კლუბის ტექნიკურმა დირექტორმა შენიშნა. მან ესპანურ გაზეთ „ელ პასთან“ ინტერვიუში ბენიტესზე თქვა: ის ფეხბურთის მუდმივი სტუდენტია, ახასიათებს პასუხისმგებლობა და გამოირჩევა ჟინიანი ხასიათით. თუ ის კლუბში მოვა, შეუძლია, დიდ წარმატებებს მიაღწიოს. ცხადია, აქ სწავლას მოწყურებული სტუდენტი იგულისხმება. დირექტორთა საბჭოს წევრმა მარსელო საფონტემ ხუმრობით თუ სერიოზულად განაცხადა: თავიდან ვფიქრობდი, რომ ბენეტესი ტორეადორია, მხოლოდ მერე გავიგე, რომ „ტენერიფეს“ ხელმძღვანელობსო.

კანარის კუნძულების გუნდი, რომელსაც ამჟამად ბენიტესი წვრთნის, მეორე დივიზიონში მესამე ადგილზეა და სავსებით რეალურია, მომავალ წელს პრიმერადივიზიონში აღმოჩნდეს.

ბენიტესის „ვალენსიასთან“ კონტრაქტი კი ოფიციალურად სეზონის დასრულების მერე გაფორმდება.

**ლუბა გეგეჭკორი**

# სატრანსფერო ჭორ-მართალი

***ევროპაში საფეხბურთო სეზონი თითქმის მიილია. ბოლოლათაგან მხოლოდ ესპანელებს და იტალიელებს დარჩათ ორი ტური. ახლა ახალი ეტაპი იწყება — შეჯიბრი სატრანსფერო ბაზარზე. კლუბები ახალი სეზონისთვის იწყებენ მზადებას, მათი პრეზიდენტები კი ქისას თავს მოხსნიან და დიდი ვაჭრობა დაიწყება. ავორდება უამრავი ჭორი. ამ ხმებიდან ბევრი ასრულდება, ზოგიც სიცრუე გამოდგება. მთელი ზაფხული ქომაგი ამით გაირთობს თავს, მერე შემოდგომა დადგება და სეზონიც დაიწყება.***



რობერტო ბაჯო

გავიხსენოთ შარშანდელი ზაფხული. მაშინ ყველაზე ხმაურიანი ტრანსფერი ლუიშ ფიგუს „ბარსელონადან“ „რეალში“ გადასვლა იყო. ამის შესახებ გავრცელებული ხმები თავიდან საფეხბურთო სამყარომ მორიგ ცრუ ცნობად ჩათვალა და ყურიც არ ათხოვა. რითი დასრულდა ყველაფერი, მოგეხსენებათ.

ფიგუს ამბავი იმიტომ გავიხსენეთ, რომ ახლაც ერთ, თითქოს დაუჯერებელ ამბავზე გვიწევს წერა. ერთ-ერთი სააგენტოს ცნობით, თურმე მადრიდელი ფანები „რეალის“ მცველ რობერტო კარლოსს არ სწყალობენ და ისიც „სანტიაგო ბერნაბეუს“ დატოვებით იმუქრება. თუ იმავ სააგენტოს ვერწმუნებით, ბრაზილიელის გზას კატალონიის დედაქალაქისკენ მივყავართ. დასტურად თავად რობერტო კარლოსის სიტყვებია მოყვანილი: „რეალიდან“ წასვლა ნამდვილად არ მინდა, მაგრამ თუ ქომაგებს სურთ, რომ კლუბი დავტოვო, მადრიდში ერთი დღეც არ გავჩერდები. ჩემთვის ფული არ არის მთავარი, იმ ხალხისგან ვითხოვ მხარდაჭერას, ვინც სტადიონზე მოდის. თუ არ ვუნდივართ, ეგებ ბრაზილიაშიც დავბრუნდე. ისიც შევიტყვე, რომ ჩემით „ბარსელონაა“ დაინტერესებული, რაც ნებისმიერი ფეხბურთელისთვის და მათ შორის ჩემთვისაც, საამაყოა“.

აქვე გავიხსენოთ, რომ ბრაზილიელმა „რეალში“ 5 სეზონი ჩაატარა და კონტრაქტის პირობით მადრიდში 2006 წლამდე უნდა დარჩეს.

ყოფილ რეალელ და ახლა ბარსელონელ ლუის ენრიკეზეც ვთქვათ. იგი კატალონიური კლუბის ხელმძღვანელებს ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე ვერ შეუთანხმდა და შესაძლოა, ამ ზაფხულს ხუთწლიანი ბარსელონური კარიერა დაასრულოს. მით უმეტეს, რომ მისი შეძენა ძალიან ბევრ კლუბს სურს და ესპანელს ათასგვარი მაცდური წინადადებებით ხიბლავენ. დაინტერესებულთა შორის „ნიუკასლ იუნაიტედს“, „ვალენსიას“ და „რომას“ ასახელებენ.

„რომა“ ვახსენეთ და ლაპარაკი იქაური ამბებით განვაგრძოთ. „საფეხბურთო კლუბი „რომა“ ეძებს ძლიერ მეკარეს. მსურველებმა გთხოვთ, მოგვაკითხოთ რომის ოლიმპიურ სტადიონზე. იკითხეთ ფაბიო“. ეს ისე ხუმრობით, თუმც ის კი დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ იტალიის სავარაუდო ჩემპიონი კარგი მეკარის ხელში ჩაგდებითაა დაინტერესებული.

კანდიდატები არიან: „პარმასა“ და იტალიის ნაკრების კარის დარაჯი ჯანლუიჯი ბუფონი, ვის სანაცვლოდაც დედაქალაქური კლუბი თანახმაა, პარმაში ჰიდეტოში ნაკატა და ძაგო გაუშვას და თან ფულიც დაამატოს; „ფიორენტინას“ მეკარე ფრანჩესკო ტოლდო, რომლის ხელში ჩაგდებაზეც ბოლოლა კლუბთა უმრავლესობა ოცნებობს; იტალიის ახალგაზრდული ნაკრებისა და „ატალანტას“ მეკარე ივანო პელიცოლი, თუმცა, როგორც ვარაუდობენ, ეს ყველაზე ნაკლებმოსალოდნელი ტრანსფერია.

ბოლო ათწლეულის იტალიურ ფეხბურთზე საუბარი რობერტო ბაჯოს გარეშე არ ეგების. უბერებელმა ვარსკვლავმა წლეულს „ბრეშაში“ ჩინებული სეზონი ჩაატარა და კვლავ გაახსენა მწვრთნელებს თავი, აჩვენა, რომ კვლავაც სახარგებლოა მოთამაშეა. ბაჯოს 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე სურს თამაში და მოწადინებულია, თავისი სიძლიერე კვლავაც დაუმტკიცოს „სკუადრა აძურას“ მწვრთნელ ჯოვანი ტრაპატონის.

ბაჯომ ამას წინათ განაცხადა, რომ „ბრეშაში“ დარჩენა არ სურს თუ იქ მწვრთნელად კარლო მაცონე აღარ იმუშავებს. ამის შემდეგ იტალიელმა ბუდისტმა წინადადება მიიღო თურქეთიდან. როგორც იუწყებიან, „ფენერბაჰჩე“ თანახმაა, მას წელიწადში 5 მილიონი დოლარი გადაუხადოს, ოღონდ კი სტამბოლში გადასვლა ინებოს.

მილიონით ნაკლებს სთავაზობს „მონაკო“ „იუვენტუსის“ ნახევარმცველ ანტონიო კონტეს. გავრცელებული ცნობით, ტურინელი ფეხბურთელი თანახმაა, მით უმეტეს, თუ „მონაკოში“ მწვრთნელად დიდიე დეშამპი დაინიშნა. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონთან კონტეს ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს. ისინი „იუვენტუსში“ ერთად თამაშობდნენ და ჩემპიონთა ლიგაც მოუგიათ.

სადაც ფეხბურთელების ყიდვა-გაყიდვაზეა ლაპარაკი, უპრიანია „ინტერიც“ ვახსენოთ. მილანური კლუბის ხელმძღვანელობა ახალი წინადადებით და სოლიდური თანხით გავიდა სატრანსფერო ბაზარზე. „სან სიროს“ მკვიდრებს „პარმადან“ პორტუგალიელი ნახევარმცველის სერჟიუ კონსეისაუს გადაბირება სურთ და მის სანაცვლოდ 20 მილიონი დოლარის გადახდას აპირებენ.

თავად „ინტერის“ თავდამსხმელ კრისტიან ვიერის გადაყვანას კი „იუვენტუსი“ აპირებს. ამ ინიციატივით ამას წინათ „ბებერი ქალბატონი“ საჯაროდ გამოვიდა და განაცხადა, რომ თანხას არ დაიშურებს, ოღონდ ვიერი კვლავ დაიბრუნოს.

ჯერჯერობით სულ ესაა.

**ნიკა შუბლაძე**




რობერტო კარლოსი



ლუის ენრიკე

# გვიშველეეეთ!..

## ვამპირებმა ბრაზილიას სისხლის ბოლო წვეთიც გამოსწოვეს



ემერსონ ლეაოს სჯერა, რომ ბრაზილია გაბრწყინდება

**2002 წლის** მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის დაწყებამდე ვინმეს რომ ეთქვა, ტურნირის ბოლოსკენ ეკვადორი ბრაზილიაზე წინ იქნებაო, ღმერთმანი, შეშლილი ეგონებოდათ. მაგრამ გამოხდა ხანი და ზღაპარი ნამდვილ ამბად იქცა. დღეისთვის სამხრეთამერიკულ შესარჩევში ეკვადორი მესამეა, ბრაზილია კი მეოთხე...

ახლა ტეტრაკამპეონები კონფედერაციათა თასზე თამაშობენ, და ამიტომ უახლოეს საკვალიფიკაციო მატჩს ურუგვაისთან 1 ივლისს გამართავენ. მონტევიდეოში ითამაშებენ და, შესაძლოა, წააგონ კიდეც. თუ ასე მოხდა, თავქვე დაშვების „შანსიც" გაეზრდებათ.

კონფედერაციათა თასი ვახსენეთ და ბრაზილიელთა ერთგვარად ექსპერიმენტული ნაკრები იქაც ერთობ უსახურ შთაბეჭდილებას ტოვებს. ყოველ შემთხვევაში, კანადასთან და იაპონიასთან ასე იყო. დღეს, ნახევარფინალში მსოფლიოს ჩემპიონ ფრანგებს ხვდებიან და ძალიან საინტერესოა, რას დაუპირისპირებენ.

მეოთხე საფეხურზე ბრაზილიელები პერუსთან საშინაო ფრის მერე დაღგნენ. თამაში სან პაულუს „მორუმბის" სტადიონზე ჩატარდა, რომელიც მეტად ცხარე და აგრესიული პუბლიკითაა განთქმული. მასპინძელთა უნიათო თამაშმა ქომაგები ისე გაამწარა, რომ მინდორზე სხვა ნივთებთან ერთად ბრაზილიის დროშებიც გადაყარეს...

„ძალიან რთული ვითარებაა, მაგრამ ჩვენსას მაინც მივაღწევთ — ამბობს ბრაზილიელთა მთავარი მეგოლე რომარიო — თუმცა, ხშირად ველარ ვიმარჯვებთ და ყვითელი მაისურისაც მოწინააღმდეგეებს ძველებურად აღარ ეშინიათ".

ასეთ „რთულ ვითარებაში" მწვრთნელ ემერსონ ლეაოს სხვა აღარაფერი დარჩენია და წინამორბედ ვანდერლეი ლუქსემბურგოს დაწყებულს აგრძელებს — შემადგენლობას ხშირად ცვლის. თუმცა, ბრაზილიელი ჟურნალისტების აზრით, ამას რაიმე დადებითი გარდასახვა არ მოაქვს. თავად განსაჯეთ, ეკვადორის შემდეგ, პერუსთან ლეაომ მართლაც რევოლუციურად შეცვალა შემადგენლობა. ნაკრებში მხოლოდ სამი ლეგიონერი მიიწვია, თვით კაპიტანი რივალდოც არ გამოიძახა...

სამაგიეროდ, ხუთი დებიუტანტი ათამაშა: ალესანდრო, ევერტონი და ლეომარი სასტარტოში იყვნენ, ვაშინგტონი და მინეირო კი მათ მეორე ტაიმში შეუერთდნენ. თუმცაღა, არც ამან გაამართლა.

სპეციალისტები და ჟურნალისტები საოცარი ერთსულოვნებით აფასებენ ვითარებას: „ის მივიღეთ, რასაც ვიმსახურებდით. ვამპირებმა, რომლებიც ჩვენს ფეხბურთს მიეკვრნენ, სისხლის ბოლო წვეთებიც გამოწოვეს და ნუგეშად ოდენ ცრემლი დაგვიტოვეს" — წერს „ო გლობოს" მიმომხილველი ფერნანდო კალასანსი.

მინდორზე გადაყრილი დროშების ტელევიზორით მაყურებელმა ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტმა, რიკარდუ ტეიშეირამ თქვა: ტრიბუნაზე რომ ვყოფილიყავი, იგივეს გავაკეთებდიო...

ტეიშეირა დღეს არაფერს ამბობს ლეაოს მომავლის შესახებ. მწვრთნელს ჯერაც ენდობიან და მიაჩნიათ, რომ მალე ბრაზილია ისევ გაბრწყინდება. არადა, ტეტრაკამპეონებს ურუგვაის გარდა სათამაშო აქვთ არგენტინაში და მაღალმთიან ლაპაზში ბოლივიელებთან. მოკლედ, კალენდარი არცთუ იოლია, ამიტომაც იყო, ერთი ბრაზილიური გაზეთი ასეთი სათაურით რომ გამოვიდა: „გვიშველეეეთ!.."

თავად ლეაო კერკეტი კაცი ჩანს. გულს არ იტეხს და ამბობს, რომ ბრაზილია არათუ გამარჯვებულის სულს დაიბრუნებს, არამედ იმ ლამაზი ფეხბურთის თამაშსაც გაიხსენებს, მთელს მსოფლიოს რომ უყვარს.

„ფესვები მიყვარს — აცხადებს ლეაო — მინდა ისეთი ნაკრები ჩამოვაყალიბო, რომელიც გაიმარჯვებს კიდევაც და მთელს ბრაზილიას გააბედნიერებს. ის არტისტიზმი უნდა გავიხსენოთ, რომლითაც ღმერთმა დაგვაჯილდოვა".

ვერაფერს იტყვი, მგზნებარე სიტყვებია. მაგრამ საქმე ისაა, რომ ლეაოს გაწვრთნილ გუნდებს ლამაზი ფეხბურთი არასოდეს უთამაშიათ.

უცნაური კია, ლეაო — ბრაზილიის ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე — იმ ფანტასტიკური გუნდის წევრი იყო, 1970 წელს მსოფლიოს ჩემპიონატი რიხინრიხინით რომ [illegible] ლია, თავად არ უთამაშია ფელიქსის დუბლიორი გახლდათ, მაგრამ იმ დიდ გუნდში იყო და კარგად იცის, რა არის მთავარი ბრაზილიელთათვის. თავად კი... 1998 წელს, მისი გაწვრთნილი „სანტოსის" ფეხბურთელები მატჩში საშუალოდ 31-ჯერ ჯარიმდებოდნენ, ხშირად მუშტი-კრივითაც არკვევდნენ მეტოქესთან ურთიერთობას. ერთი მატჩი ათი წუთით იმისთვის შეწყვიტეს, რომ სანტოსელებმა კარს უკან მდგარ ფოტორეპორტიორებთან ხელჩართული ჩხუბი გააჩაღეს...

გასაკვირია, მაგრამ ლეაო სწორედ ისეთი კაცია, როგორებსაც თითქოს რიკარდო ტეიშეირა ვერ ეგუება. ლუქსემბურგოს გადაყენების შემდეგ ტეიშეირა ამბობდა, რომ ახალი მწვრთნელი, შესაძლოა, განთქმული არა, მაგრამ წესიერი, თავდაჭერილი და შეუვალი ავტორიტეტის კაცი უნდა იყოსო.

ლეაო არაფრით ჯდება ასეთ ჩარჩოებში — ის არასოდეს არავის უჯერებს, ხშირად თავს ვერ იკავებს და ათასგვარ სკანდალში ეხვევა, ხან მსაჯებთან, ხან კლუბების დირექტორებთან, ხანაც ჟურნალისტებთან და რაც მთავარია, ლუქსემბურგოს მსგავსად ის არაფრად აგდებს ცნობილ ფეხბურთელებს, რაც ბრაზილიაში წარმოუდგენელია.

სამი წლის წინ „ატლეტიკო მინეიროდან" კინწისკვრით გააგდო კლაუდიო ტაფარელი. მერე „ინტერნასიონალში" მუშაობისას დუნგა არ გაახარა. ეს პატივცემული კაცი ძირითადიდან ამოაგდო. როცა დაბრუნა, დუნგამ გადამწყვეტი გოლი გაიტანა და გუნდი გავარდნას გადაარჩინა.

და რა ჰქნა ლეაომ? რა და, ისევ სათადარიგოთა სკამზე დასვა...

მოკლედ, უამრავი პრობლემის მიუხედავად, ბრაზილიელებს მაინც სჯერათ, რომ ლეაო საქმეს თავს გაართმევს. „ო გლობო" წერს: „როცა ლუქსემბურგო მოვიდა, გვჯეროდა, რომ ნაკრებშიც ისევე კარგად იმუშავებდა, როგორც კლუბებში, მაგრამ შევცდით. როგორ გვინდა, რომ ახლაც შევცდეთ"...

აი, ასეა. ბოლო-ბოლო ბრაზილია კორეა-იაპონიაში, ალბათ მაინც გაემგზავრება, მაგრამ რატომ და რისთვის, ეს ჯერ ვერავის გაუგია.

**სოლომონ გულისაშვილი**



ბრაიან რობსონი

# ტერი წავიდა, შენც წადი!

**ახალი** სეზონიდან „მიდლსბროს" ახალი მწვრთნელი ეყოლება. შუა სეზონში ფუნქციებშეკვეცილი ბრაიან რობსონი გუნდს საბოლოოდ დაემშვიდობა.

ბრაიან რობსონი ფრიად ტიტულიანი კაცია და ინგლისის საფეხბურთო ოჯახში დიდი ავტორიტეტითაც სარგებლობს. მას ეროვნულ გუნდში ოთხმოცდაათი მატჩი ჩაუტარებია, ხოლო „მანჩესტერ იუნაიტედთან" ერთად ბლომად ჯილდოები მოუპოვებია.

მისი გააზრებული თამაში, მოედნის ბრწყინვალე ხედვა მართლაც რომ აღტაცებას იწვევდა და როგორც მოსალოდნელი იყო, მან ტაქტიკური განსწავლულობისა და დიდი საფეხბურთო გამოცდილების მეოხებით აქტიური სპორტიდან წასვლის შემდეგ მწვრთნელობას მიჰყო ხელი. არცთუ ისე ხანდაზმული მანჩესტერელი შვიდი წლის წინ პირველდივიზიონელ „მიდლსბროში" მოთამაშე მწვრთნელად მოგვევლინა და პირველივე სეზონში გუნდი პრემიერლიგაში აღაზევა.

ამ შვიდი წლის განმავლობაში გუნდმა ორი — ერთი ლიგის, მეორე კი ქვეყნის თასის ფინალი ითამაშა. ერთხელაც პირველ დივიზიონში დაქვეითდა. ეს 1997 წელს მოხდა, როდესაც ბრაიან რობსონმა ბურთის გორებას თავი დაანება და მხოლოდ მწვრთნელის მოვალეობები იკმარა.

ბრაიან რობსონმა საკუთარი შეგირდების პრემიერლიგაში დაბრუნება მალევე მოახერხა, მაგრამ მეტის მიღწევა ვერ შეძლო. გუნდის ხელმძღვანელობამაც, აწ დასრულებული სეზონის შუაში სხვა გზა ირჩია, „მიდლსბროში" ნაკრების ყოფილი თავკაცი, ტერი ვენეიბლზი მიიწვია, თუმცა რობსონიც არ გაუშვა. ფაქტობრივად, ვენეიბლზსა და რობსონს შორის ფუნქციები განაწილდა, მაგრამ საბოლოო სიტყვა ვენეიბლზს დარჩა. ისიც აღვნიშნოთ, რომ ვენეიბზლი იმთავათვე დროებით ფიგურად ითვლებოდა — კაცი, რომელსაც „მიდლსბრო" პრემიერლიგაში დაეტოვებინა და ამ მისიის შესრულების მერე თავის გზით წასულიყო.

სეზონი დასრულდა და ტერი ვენეიბლზმაც სხვა საქმე იპოვა, ტელევიზიაში კომენტატორობას აპირებს.

„მიდლსბროს" თავმჯდომარეს სტივ გიბსონსაც სხვა რა დარჩენოდა, რობსონსაც ველარ ენდო და გუნდისთვის ახალი მწვრთნელის ძიებას შეუდგა. თავჯდომარის არჩევანი სერ ალექს ფერგიუსონის თანაშემწე სტივ მაკლარენზე შეჩერდა. მოლაპარაკება მწვრთნელსა და კლუბს შორის უკვე მიმდინარეობს. დათანხმდება თუ არა მაკლარენი „მიდლსბროს" წინადადებას, ჯერჯერობით უცნობია. რობსონზე კი კლუბის თავმჯდომარემ, ეს თქვა: „ბრაიან რობსონი მოვლენა იყო გუნდის ისტორიაში და თავისი კვალიც დატოვა. შვიდი წლის მანძილზე მან ბევრის გაკეთება მოასწრო, მაგრამ დღეს ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე იგი გუნდს გამოეთხოვება".

„მიდლსბრო" ბევრს ნიშნავს რობსონისთვის. შვიდი წელი მართლაც დიდი დროა, მაგრამ ბრაიანიც ხვდება, რომ უნდა წავიდეს: „შვიდი წელი ერთ გუნდში მწვრთნელისთვის ძალიან ბევრია. „მიდლსბროში" მუშაობა უდიდეს სიამოვნებას მანიჭებდა და დიდი გამოცდილებაც შემძინა. მაგრამ ვგრძნობ, რომ უნდა წავიდე. ეს გუნდისთვის, გულშემატკივრებისთვისა და თვით ჩემთვისაც უმჯობესი იქნება".

**გიორგი მამარდაშვილი**

ინფორმაცია 24 საათის განმავლობაში
ფეხბურთი
NHL, NBA
☎ 8 22 009 000, 8 22 009 001 (1წთ / 50 თეთრი)

რაგბი

# ჩემპიონატი და მსაჯებთან კამათი ერთდროულად დაიწყო

**დაიწყო** ეროვნული ჩემპიონატი და რაგბის კავშირის სადისციპლინო კომიტეტს საქმეც მიეცა. აბა, ჩვენში ტური ისე როგორ ჩაივლის, რაიმე დარღვევა არ მოხდეს და შესაბამისი სასჯელიც არ ირგუნოს წესის დამრღვევმა.

ჰოდა, შეიკრიბნენ კავშირის „სამართალდამცავები" თორნიკე გეგიძის თავმჯდომარეობით და განვლილ ტურში მომხდარი ინციდენტებიც საგულდაგულოდ განიხილეს. პირველად უმაღლესი ლიგის მატჩების ოქმში ჩაწერილ დანაშაულებზე იმსჯელეს. გეხსომებათ, ჩემპიონატის გახსნით მატჩში თბილისის „ყოჩებსა" და ქუთაისის „აიას" შორის მთავარმა არბიტრმა მიხეილ ჩაჩუამ ორი ყვითელი ბარათი აუფრიალა ქუთაისელ მორაგბეებს, ორჯერ კი წითელი ბარათის ამოღება დასჭირდა, მასთან მოკამათე აიელები რომ დაეშომშინებინა. კომიტეტმა, ბევრი იფიქრა თუ ცოტა, განაჩენიც გამოიტანა. გაყვითლებული მორაგბეები, ავთო კოპალიანი და კობა გიორგაძე, სასჯელს გადაურჩნენ, დისკვალიფიკაციას ასცდა მოედნიდან გაძევებული „აიას" კაპიტანი შოთა საყვარელიძეც. სამაგიეროდ, ბილწსიტყვაობა ძვირად დაუჯდა ქუთაისელ გოჩა ლილუაშვილს. მას რვა კვირით მოუწევს იძულებითი დასვენება.

უმაღლეს ლიგის პირველ ტურში ოდენ ორი მატჩი ჩატარდა და „ლოკომოტივი" — „უნივერსიტეტის" შეხვედრაში არაფერი მომხდარა ისეთი, დისციპლინართა ყურადღება რომ მიეპყრო, ამიტომ კომიტეტი ქვედა ლიგებში მომხდარ არასასიამოვნო ფაქტების განხილვაზე გადავიდა.

ექვსი კვირით მოიკვეთა მწვრთნელობიდან პირველლიგელი „აკადემიის" ერთ-ერთი თავკაცი გია ღლონტი. იგი „აკადემია" — „ყოჩები 2"-ის შეხვედრის დროს არაკორექტულად შეედავა შეხვედრის კომისარ გელა მიქაბერიძეს. მსაჯთან კამათისთვის ორი კვირით ჩამოშორდა თავის გუნდს ასევე პირველ ლიგაში მოასპარეზე „დინამოს" მწვრთნელი სერგო რამიშვილი.

ამის შემდეგ თორნიკე გეგიძე და მისი ქვეშევრდომები ბავშვთა ლიგასაც გადასწვდნენ და 1985-86 წლებში დაბადებულ მორაგბეთა შორის ჩემპიონატში მომხდარ დარღვევას შესაბამისი სასჯელი შეუფარდეს. „აიას" ნორჩ მორაგბეს, ლევან მოდებაძეს თორმეტი კვირით მოუწევს მშობლიური კლუბის თამაშის ტრიბუნიდან ყურება. მას რატომღაც მსაჯი არ მოსვლია თვალში და ლამაზ-ლამაზი სიტყვებით შეუმკია.

**ბაჩო სვანიძე**

# რკინიგზამ არმიას უშველა

**დაშლის** პირას იყო სეზონის დაწყებამდე ასკ. უსახსრობამ, ყველაზე მძიმე ქართულმა სენმა დარია ხელი არმიულ კლუბს. დაიწყო ჩემპიონატი და ასკ-ის ხელმძღვანელობას არც საჩემპიონატო განაცხადი და არც სამონაწილეო თანხა არ ჰქონდა შეტანილი საქართველოს რაგბის კავშირში. დათქმული ვადა იწურებოდა, საშველი კი არ ჩანდა. ამასობაში ეროვნული ჩემპიონატის პირველმა ტურმაც მოატანა. არმიული კლუბი ბათუმის „დათვებს" უნდა სწვეოდა, მაგრამ... სამგზავრო ფული რომც მოეძიებინათ გუნდის თავკაცებს, საკითხავი იყო, ვის იახლებდნენ ბათუმში. სეზონის წინ ხომ გუნდი ერთბაშად რვა მორაგბემ დატოვა, ზოგმაც რაგბის თავი მიანება, დამატებით კი ერთი მოთამაშე რაა, ისიც ვერ დაიმატეს არმიელებმა. ერთი სიტყვით, შავ ღრუბლებს დაეჩრდილა ასკ-ის მომავალი. გაუწიეს შეღავათი რაგბის კავშირის მესვეურებმა გაჭირვებულ არმიელებს. გადაუდეს „დათვებთან" მატჩი განუსაზღვრული ვადით, მაგრამ კარზე პირველობის მეორე ტურმაც მიაკაკუნა. დღეს ასკ-ს ქუთაისის „აიასთვის" უნდა ემასპინძლა. კვლავ პრობლემა, კვლავ ბუნდოვანი პერსპექტივა...

მაგრამ, როგორც ჩანს, ქართულ რაგბიში მარტო ფული არ არის მთავარი. ჩვენ დაგეხმარებითო, უთხრეს „ლოკომოტივის" თავკაცებმა არმიელებს და მოცემული სიტყვა მალე საქმედაც აქციეს. დღეს რკინიგზელთა კლუბში ოცდაათამდე მორაგბე ვარჯიშობს. ჰოდა, ამდენი მობურთალი ჩვენ რაში გვჭირდებაო და რამდენიმე მორაგბე მიავლინეს ასკ-ში „ლოკომოტივის" მწვრთნელებმა. ცოტას არმიელებიც დაფაცურდნენ და გუშინ სამონაწილეო განაცხადი წარუდგინეს საშეჯიბრო კომიტეტს. აბა, ადრე როდის ყოფილა, უარი რომ ეთქვათ საამქვეყნოდ მობრუნებული გუნდისთვის. არც ამჯერად უღალატეს ტრადიციას ქართული რაგბის მამებმა და ასკ-ს ჩემპიონატში თამაშის ნება დართეს. დადგენილი კალენდრის მიუხედავად, ასკ ქუთაისელ მორაგბეებს ხვალ დაუხვდება. მატჩი ავლაბრის სტადიონზე საღამოს ექვს საათზე დაიწყება. ასე რომ, ჩემპიონატი სრულად ჩატარდება და მასში ექვსივე გუნდი მიიღებს მონაწილეობას.

დღეს კი გათამაშების მეორე ტურია. ბათუმის „დათვები" თბილისის „ლოკომოტივს" უმასპინძლებს. სწორედ ამ მატჩში შედგება ლევან მგელაძის დებიუტი ბათუმელთა მწვრთნელის რანგში. ვარკეთილის მეურნეობის სარაგბო მოედანზე კი სტუდენტური დერბი გაიმართება. თბილისის „სტუ-ყოჩები" ასევე დედაქალაქის „უნივერსიტეტს" შეხვდება

**ბაჩო სვანიძე**

ფარიკაობა

# ქალები სამში არიან, ვაჟები ორში

**გუშინ** ვაკის სპორტული კომპლექსის საფარიკაო დარბაზში დაიწყო საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფარიკაობაში. ტურნირი სამ დღეს გასტანს და 8 ივნისს დასრულდება. ორმოცამდე სპორტსმენი საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ფარიკაობის სამ სახეობაში გამოავლენს საუკეთესოებს. ვაჟები რაპირაში და დაშნაში იბრძოლებენ ქვეყნის ჩემპიონობისთვის, ქალებს კი სამ სახეობაში მოუწევთ ერთმანეთის დაჩხვლეტა. სუსტი სქესის წარმომადგენლები რაპირაში, ხმალში და დაშნაში გაათამაშებენ ოქროს მედლებს. პირველობის პარალელურად, ვეტერანი მოფარიკავე ქალები თავიანთი უდროოდ გარდაცვლილი კოლეგის, მანანა დარასელიას ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირზე იასპარეზებენ. ვეტერანებიო, ვამბობთ, თორემ იქ მყოფ გოგონებს ხნოვანებისა არაფერი ეტყობოდათ და საკმაოდ მხნედ გამოიყურებოდნენ. დაღუპული მეგობრის პატივსაცემად მოსულმა მანდილოსნებმა ფარიკაობის დარბაზში მყოფი მცირერიცხოვანი გულშემატკივრის დიდი სიმპათიები დაიმსახურეს.

**ბაჩო სვანიძე**

მთამსვლელობა



გია თორთლაძემ ევერესტზე საქართველოს დროშა აafრიალა, მას „ზურგს უმაგრებს" ქართველწინაპარყოფილი, გაფრანგებული რუსი ანა პრისკინა, ორივეს ერთად კი მხარს უმშვენებს შერპი მთამსვლელი

# ერთმა ქართველმა და ერთმაც ქართველწინაპარყოფილმა ევერესტიდან გადმოიხედეს

**დედამიწის** უმაღლესი მწვერვალიდან დაბრუნდა თბილისელი მთამსვლელი გია თორთლაძე, რომელიც იქ ეკოლოგიურ ექსპედიციაში იმყოფებოდა.

— იმ ექსპედიციის დასასრულამდე საშინელ უამინდობის გამო მწვერვალზე ვერავინ ავიდა — გვიამბობს გია თორთლაძე — ჩვენმა ექსპედიციის წევრებმა მწვერვალის ფერდობებიდან ტონანახევარი ნარჩენები ჩამოიტანეს, მათ შორის ცარიელი ჟანგბადის ბალონები. რაკი აღარ გამოიდარა, ბევრს გადაეწურა მწვერვალზე ასვლის იმედი და შინისკენ გაემგზავრა, ნაწილი კი იქ დარჩა, მათ შორის მეც. ბოლოს, როგორც იქნა, ამინდი დაწყნარდა. მწვერვალზე ერთდროულად რვანი ავედით, მათ შორის ერთი წარმოშობით რუსი, ახლა კი ფრანგი ანა პრასკინა, ვისაც წინაპარი ამილახვარი ჰყოლია. ასე რომ, ევერესტიდან ერთმა ქართველმა და ერთმაც ქართველწინაპარყოფილმა ფრანგმაც გადმოვიხედეთ.

იმ დღეს ევერესტი სულ თვრამეტმა კაცმა დალაშქრა, მათ შორის ხუთ-ხუთმა შერპმა და ფრანგმა, სამმა რუსმა, ორ-ორმა ბრიტანელმა და კოლუმბიელმა და ერთმაც ქართველმა. ისინი ქვემოთაც მშვიდობით დაეშვნენ, უფრო სწორედ ორი მათგანი იქიდან დელტაპლანით გადმოფრინდა, დაწვრილებით კი ყოველივე ამაზე და სხვა ამბებზეც ხვალინდელ „სარბიელში" გიამბობთ.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

მძლეოსნობა

# ტკბილი გაყრა

**არავის** სმენია, სი ჯეი ჰანტერს თავის ტორებით მარიონ ჯონსისთვის სილა შემოეკრას, ან მარიონს ზორბა ქმარისთვის რქები დაედგას. ბოლო წლებია, სულ პირიქით არის: 1998 წლის ოქტომბერში ოფიციალურად შეყრილი წყვილი სულ ერთად იყო ფოტოაპარატებისა და კამერების წინაშე, ჯონსი რომ გარბოდა ან ხტოდა, ჰანტერი მახლობლად აიტუზებოდა ხოლმე და მისი ბირთვის კვრისას ჯონსის ფრიადი აღელვებაც ახსოვს საზოგადოებას. ახლა კი აი, ამბავი მოვიდა, ჯონსი და ჰანტერი იყრებიანო. ერთმანეთს უკვე დაშორდნენ, გაყრის პროცედურა კი ჯერაც ჩასატარებელია.

მკითხველს, ვისაც მომხდარის მიზეზი აინტერესებს, შეუძლია წერილი აღარ წაიკითხოს. არც ჰანტერს და არც ჯონსს ისეთი მიზეზი არ დაუსახელებიათ, რაც მათი გაყრის დამაჯერებელი საბაბი იქნებოდა. ყოველ შემთხვევაში, ქართველი ამგვარ სიტუაციას ვერ წარმოიდგენს: „ჩვენ ბევრი ვიფიქრეთ, ვისაუბრეთ (!), ერთმანეთს სრულად გავუგეთ (!) და გადავწყვიტეთ, რომ ორივეს მომავლის უკეთ განვითარებისთვის გაყრა საუკეთესო იქნებოდა". ზემორე სიტყვები ჯონსმა თქვა სააგენტო „როიტერთან" სატელეფონო საუბრისას. „ჩვენ ხასიათით ძლიერ არ ვგავართ — დაუმატა მანვე — ჯობს, მე ჩემთვის ვიყო, ის — თავისთვის".

მათ ერთმანეთი რამდენიმე წლის წინ ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტში გაიცნეს, სადაც ჯონსი სტუდენტი იყო და ჰანტერი კი მძლეოსანთა მწვრთნელის თანაშემწედ მუშაობდა. მერამდენე ნახვით შეყვარება იყო, არავინ იცის, მაგრამ სულ სხვადასხვა ტიპის ჯონსი და ჰანტერი მალე ერთმანეთს ვერ ელეოდნენ. სწორედ ჰანტერმა გააცნო შეყვარებულს ტრევორ გრემი, მწვრთნელი, ვისი ნასწავლითაც ჯონსი პლანეტის მოწინავე სპრინტერი ქალბატონი გახდა. 25 წლის ჯონსი უკვე პირველი ქალი იყო, ვინც ოლიმპიადაზე ხუთი მედალი მოიხვეჭა, მათგან სამი ოქროსი. სიდნეის ოლიმპიადაზე მოგახსენებთ, სადაც ცოლს ტრიუმფი ჰქონდა, ქმარს კი ქომაგის რანგზე მაღალი არაფერი ერგო, იგი ბირთვს არ გააკარეს. მიზეზი: დოპინგი. სი ჯეი ჰანტერი ადრე ოთხჯერ იყო მხილებული სისხლში ნანდროლონის სიჭარბისთვის და ცოლვებმა ზედ ოლიმპიადის წინ უწიეს. ამას დაერთო ორწლიანი დისკვალიფიკაცია, რასაც ნანდროლონის მუხლისთვის სამძლეოსნო კანონი ითვალისწინებს და ჰანტერმა ხელი ჩაიქნია, კმარა, წავედიო. 32 წლის ათლეტმა პენსიაზე გასვლა არჩია.

ბუნებრივი ჩანს კითხვა, ხომ არ არის ჰანტერის ისტორიაში გაუჩინარება ჯონსთან გაყრასთან კავშირში? ამას ჯონსი კატეგორიულად უარყოფს, ჰანტერი წლების მანძილზე ჩემს გვერდით იდგა და სპორტიდან გაგდების გამო არაფრით გავშორდებოდიო. მასმედიას კიდევ ის აინტერესებდა, რა გავლენას მოახდენს მომხდარი ჯონსის კარიერაზე, რაზეც სპრინტერის პასუხი იყო: „არავითარს, კვირის ბოლოს კალიფორნიის გრან პრიზე ვირბენ, ედმონტონში მსოფლიოს ჩემპიონატზეც გამოვალ, ოღონდ ადრინდელივით გრანდიოზული გეგმები აღარ მაქვს. დასამტკიცებელი უკვე დავამტკიცე".

გაყრის შემდგომ ჰანტერის გეგმებზე ჯერ არაფერია ცნობილი, ჯონსი კი იმ სახლში ცხოვრებას აპირებს, რომელიც ცოლ-ქმარმა ერთიანი ძალით ჩეპელ ჰილში ააშენა.

**დავით გულუა**



ეს ადრე იყო—

ჯირო დ'იტალია

# მეტი სიფრთხილე და ყურადღება



სამრეკლოდან დანახული პელოტონი

**სამშაბათს** დასვენების შემდეგ „ჯიროს“ პელოტონი სან რემოს ეწვია. ეს ზღვისპირა კურორტი სიმღერის ფესტივალითაა სახელდაგდებული, მაგრამ გუშინ სულ სხვა რამით სუნთქავდა. სხვანაირად შეუძლებელიცაა. სადაც კი „ჯირო“ გაივლის, იქ ხომ ყველაფერი მისი სულით იჟღინთება და დიდი თუ პატარა ქუჩებში გამოდის მრბოლთა ახლოდან თვალის შესავლებად.

თუმცა ამჯერად იტალიელები საკმაოდ გაწბილებულნი დარჩნენ, რადგან მათმა ჯილამ მარკო პანტანიმ თავი კვლავ ვერაფრით გამოიჩინა და საერთო ჩათვლაში კიდევ უფრო უკან გადავარდა. ეტაპი სხვა იტალიელმა, პიეტრო კაუკიოლიმ მოიგო, ვარდისფერი მაისურაც აპენინელმა ჯილბერტო სიმონიმ დაინარჩუნა, მაგრამ „მეკობრის“ წარმატება სულ სხვაა ტიფოზებისთვის და ეს არაერთხელ დამტკიცებულა.

საკმაოდ მოკლე ეტაპი პანტანიმ 89-ე ადგილზე დაასრულა, კაუკიოლისთან თორმეტწუთიანი ჩამორჩენით. მან გზა სპრინტერებივით ნელა გაიარა და დღეს შეიძლება საერთოდაც მიატოვოს „ჯირო“. ამის თქმის საბაბს ის გვაძლევს, რომ „მეკობრეს“ გრიპი ბოლომდე ვერ მოურჩენია, ფორმაშიც ვერ შევიდა და დღევანდელ მთებს, ალბათ, არ შეეჭიდება. თანაც ერთგული გრეგარი რიკარდო ფორკონიც მოისაკლისა.

მისი უხეირო გამოსვლისას სხვებმა გაილაღეს, რომელთა შორის 25 წლის კაუკიოლიცაა. მან რეჯიო ემილიაში წარმატების შემდეგ მეორე ეტაპი მოიგო მშვენიერი შეტევის წყალობით. ფინიშის ხაზზე აპენინელმა მეორე ნახევარკუნძულის, პირინეის წარმომადგენელი ჟოზე აზევედო დაჩაგრა. პორტუგალიელი მეტოქეს ბოლო დაღმართზე დაეწია, როცა გასავლელი 8 კილომეტრიღა რჩებოდა.

ამ დუეტის შემდეგ ფინიში გერმანელმა იან ულრიხმა გადაკვეთა, რომელიც „ჯიროს“ „ტურ დე ფრანსის“ მოსამზადებლად იყენებს. სიდნეის ოლიმპიურმა ჩემპიონმა კონტრიერიში განაწორციელა და ტურნირში მეორედ დაიკავა მესამე ადგილი.

„რბოლის გაკონტროლება ერთობ გაგვიჭირდა. მომდევნო ეტაპებზე უფრო მეტი სიფრთხილე და ყურადღება გვმართებს“ — თქმა ვარდისფერმაისურიანმა ჯილბერტო სიმონიმ, რომელმაც ეტაპი პელოტონის პირველ ნაწილში დაასრულა და დარიო ფრიგოსთან 15-წამიანი უპირატესობა შეინარჩუნა.

სწორედ ამ ორი მრბოლის დავაში გაირკვევა „ჯიროს“ წლევანდელი ჩემპიონის ბედი და ეს სავარაუდოდ დღეს მოხდება.

ლიგურიის ზღვის ნაპირზე მდებარე დაბა იმპერიიდან ალპურ სანტ ანა დი ვინადიომდე (2010 მ ზღვის დონიდან) სიმონისა და ფრიგოს ბევრი დაბრკოლება ელით, რომელთა შორის მთავარი ფაუნიერას მთაა. მისი უმაღლესი წერტილი ზღვის დონიდან 2511 მეტრზეა და მის მისაღწევად პელოტონმა 21 კილომეტრი უნდა გაიაროს.

**გაგი გურული**



სიცხით შეწუხებულ მრბოლებს ლიგურიის ზღვაში გასაგრილებლად არ ცხელათ

| მეჩვიდმეტე ეტაპი |
| --- |
| სან რემო — სან რემო, 119 კმ |
| 1. პიეტრო კაუკიოლი (იტალია, ალესიო) 3სთ 36წთ 52წმ |
| 2. ჟოზე აზევედო (პორტუგალია, ონსე) +2წმ |
| 3. იან ულრიხი (გერმანია, ტელეკომი) +27 |
| 4. ჯანი ფარეზინი (იტალია, ლიკიგასი) +27 |
| 5. მატიას კესლერი (გერმანია, ტელეკომი) +36 |

| საერთო ჩათვლა |
| --- |
| 1. ჯილბერტო სიმონი (იტალია, ლამპრე) 77სთ 19წთ 15წმ |
| 2. დარიო ფრიგო (იტალია, ფასა ბორტოლო) +15 |
| 3. აბრაამ ოლანო (ესპანეთი, ონსე) +4წთ 28 |
| 4. უნაი ოსა (ესპანეთი, იბანესტო) +5წთ 22 |
| 5. სერჰიი ჰონჩარი (უკრაინა, ლიკიგასი) +6წთ 10 |

# ორი ეპოისტი ფრანგულ ბადეში

**„ჯიროს“** პელოტონმა ერთი დღით შეისვენა და უქმობისას ორი წევრითაც შემცირდა. ტრავმა არავის მიუღია, მაგრამ დოპინგი კი იცოცხლე. პესკარაში პროლოგის დროს ყველა მრბოლი შეამოწმეს დოპინგზე, ძირითადად ეპო-ზე ახალი ფრანგული მეთოდით, რომელიც მხოლოდ აპრილის დასაწყისში აღიარა ველოსპორტის საერთაშორისო კავშირმა.

ჰოდა, საფრანგეთში მოქსოვილ ბადეში ფრანგი პასკალ ერვე და იტალიელი რიკარდო ფორკონი გაებნენ და მათმა გუნდებმაც გადაწყვიტეს, განმეორებითი ტესტის ჩატარებამდე დაესვენებინათ.

36 წლის ერვეს ამბავი სამშაბათ საღამოს გაცხადდა, სან რემოს ეტაპის წინა დღეს. „ერვე რბოლებში მონაწილეობას ჯერჯერობით არ მიიღებს“ — განუცხადა ჟურნალისტებს „ალექსიას“ პრესატაშემ.

რიშარ ვირანკის, რომელიც დღე-დღეზე უნდა გადავიდეს „ალექსიაში“, მეგობარი დოპინგის გამოყენებისთვის უკვე დასჯილა ახლო წარსულში. ოქტომბერში საფრანგეთის ქალაქ ლილში მიმდინარე გახმაურებულ „ფესტინას“ საქმის“ დროს ერვემ ორწლიანი უარყოფის შემდეგ აღიარა, რომ 1998 წლის „ტურ დე ფრანსზე“ დოპინგით ისიც იყო გაჭყეპილი, რისთვისაც რვათვიანი დისკვალიფიკაციაც მიიღო. თუმც ვინაიდან მას 1998-99 წლებში ნებაყოფლობით ექვსი თვე გაეცდინა, ამჯერად მის წინააღმდეგ სანქცია მხოლოდ ორი თვით განისაზღვრა, რომელიც ცოტათი კიდევ შემცირდა აპელაციის შემდეგ.

1994 წლიდან პროფესიონალი ერვე 1999 წლამდე ფესტინელი იყო. შემდეგ იგი „ფესტინას“ ყოფილ ლიდერ ვირანკს „პოლტიში“ გადაყვა, ამ სეზონიდან კი „ალექსიას“ ღირსებას იცავს. იგი ძირითადად მუდამ სხვათა დამხმარე იყო და ამიტომაც კარიერაში ცოტა გამარჯვება დაუგროვდა. ამათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია 1996 წელს „ჯიროს“ ეტაპის მოგება. ახლა კი იგი საერთო ჩათვლაში მე-20 ადგილზე იყო და სიმონისთან 21 წუთსა და 4 წამს აგებდა. თუ ერვეს ეპო-ს მიღება დაუმტკიცდა, ეს მისი, როგორც პროფესიონალი ველომრბოლის კარიერის დასასრული იქნება.

ფორკონის დოპინგ-კონტროლის დადებითობა ცოტა გვიან, გუშინ დილით მოედო ქვეყანას და მისი გუნდი „მერკატონე უნოც“ „ალექსიასავით“ მოიქცა, ანუ თავისი ევრი სტარტზე არ გაუშვა.

ფორკონი მარკო პანტანის საკმაოდ გამოცდილი გრეგარია და „მეკობრეს“ ბევრჯერ დახმარებია მნიშვნელოვანი გამარჯვებების მოპოვებაში. ერვესი არ იყოს, მთლად უცოდველი არც ის იყო ადრე, მაგრამ ფრანგისგან განსხვავებით, ის არასოდეს გაბმულა.

მხოლოდ ერთხელ, 1998 წლის „ჯიროს“ დროს, რომელიც მარკო პანტანის გამარჯვებით დასრულდა, ფორკონის ჰემატოკრიტების ნორმაზე მაღალი დონე აღმოჩნდა, რაც სავარაუდოდ ეპო-ს მიღების შედეგი იქნებოდა. თუმცა მაშინ ფრანგული მეთოდი არ არსებობდა და ფორკონიც მხოლოდ ორკვირიანი იძულებითი უქმობით დაისაჯა.

**გაგი გურული**



ეროვნული ბიბლიოთეკა



მარტინა მორავცოვა (მარცხნივ) სიდნეის ოლიმპიადის კვარცხლბეკზე

# მორავცოვას მედლების სამაია

**მარე ნოსტრუმის** საერთაშორისო ტურნირის პირველ ეტაპზე, რომელსაც ბარსელონამ უმასპინძლა, ცურვის არაერთი ვარსკვლავი მონაწილეობდა. ტრადიციულ ასპარეზობაზე, რომელიც კონტინენტის სხვადასხვა ქალაქებში იმართება ძირითადად სიდნეის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები და პრიზიორები მონაწილეობდნენ, მაგრამ ყველას მაინც ევროპელები სჭარბობდნენ. ასპარეზობას ავსტრალიისა და აშშ-ის მოცურავეთა თანავარსკვლავედი გამოაკლდა. ყოველ შემთხვევაში ისინი, ვინც ამინდს ქმნის საცურაო ბილიკზე.

მარე ნოსტრუმი უხვმოსავლიანი გამოდგა სლოვაკი მარტინა მორავცოვასთვის. მან 50 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში ჩემპიონობა (27,74) არ დაანება ავსტრლიელებს — ჯუდიტ დრექსლერსა (27,81) და ჯულია ჰემს (28,12), რომლებიც შესაბამისად მეორე-მესამე ადგილებზე გავიდნენ.

მორავცოვამ საჩემპიონო ცურვა მეორე დღესაც გააგრძელა. ამჯერად დისტანცია 50 მეტრით გაზარდა და იმავე დისციპლინაში 100 მეტრზეც იმარჯვა — 59,20.

სლოვაკი მოცურავის მეორე ოქროს მედლით დიდად არ გაუხარიათ მასპინძლებს, რადგან მორავცოვას გვერდიგვერდ მიჰყვებოდა ესპანელი მორელა გარსია — 1.00,70, თუმცა ერთი წამით გვიან რომ შეხებოდა აუზის კიდეს, ბრინჯაოს მედალი ავსტრალიელი ლარა დევენპორტის (1.01,12) ნაცვლად მას შეხვდებოდა.

ბატერფლაით ორი ოქროს მოპოვების შემდეგ სლოვაკმა მოცურავემ მიზანში თავისუფალი სტილით ცურვა ამოიღო. მას 50 მეტრზე „თავისუფალში“ ისევ სამხრეთ ნახევარსფეროს წარმომადგენლებთან ჭიდილმა მოუწია. ამჯერად ავსტრალიელი ჯულია ჰემი ახალზელანდიელმა ვივიენ რინალმა შეცვალა. ჩემპიონის ბედი წამის მეასედებზე ეკიდა, მაგრამ აქაც გამარჯვებული მორავცოვა აღმოჩნდა (25,91). მეორე-მესამე ადგილებს შესაბამისად რინალი (26,09) და ავსტრალიელი ჯუდით დრექსლერი (26,20) დასჯერდნენ.

ჩემპიონობა არ გასჭირვებია ესპანელთა იმედს, ამ რამდენიმე წლის წინათ პირენეებზე გადაბარგებულ რუს ნინა ჟივანევსკაიას. მან თავისი ახალი თანამემამულეები ორჯერ გაახარა ჩემპიონობით.

50 მეტრზე გულაღმა ცურვაში ჟივანევსკაიას 29,29 წამი დასჭირდა ჩემპიონობისთვის, ხოლო მეორეობისთვის ერთბაშად ორი მოცურავე ეცილებოდა ერთმანეთს.

ისე მოხდა, რომ კანადელმა ჯენიფერ კეროლმა და ჩინელმა ლი იანქინგმა ერთნაირ დროში გაცურეს (29,59). თუმცა მოგვიანებით ყველაფერი დრამატულად წარიმართა. მედლებით დაჯილდოების ცერემონიალზე, მიუხედავად იმისა, რომ ტაბლო კეროლისა და იანქინგის ერთნაირ შედეგს უჩვენებდა, კვარცხლბეკის მეორე საფეხურიდან ჩამოსვლა უბრძანეს კანადელ მოცურავეს.

საქმე ისაა, რომ ჩრდილოამერიკელმა წყალქვეშ გაცურვის 15-მეტრიან ზღვარს გადააჭარბა, ამიტომაც მსაჯებმა მას დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. იმედგაცრუებული და ატირებული კანადელის კვარცხლბეკიდან ჩამოსვლის მერე კი მისი თანამემამულე მესამეადგილოსანი მიშელ ლისჩინსკის (29,94) დაჯილდოების დროც დადგა.

200 მეტრზე იმავე დისციპლინაში ჟივანევსკაიამ 2.13,58 შედეგით დუბლი შეასრულა. ფინალურ ორთაბრძოლაში ჟივანევსკაიას მეტოქეობას უწევდნენ ავსტრალიელი კლემინტინ სტოუნი (2.14,09) და იაპონელი ტოშიე აბე (2.15,00).

ბარსელონას წყალში ჩემპიონობა მოიპოვა ნინას ყოფილმა თანამემამულემ, ოთხგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ალექსანდრ პოპოვმა. იგი ბარსელონაში პარიზიდან ჩაფრინდა, სადაც მან ამ ერთი კვირის წინ თავისი წიგნის „Nageur dans le vrai“ პრეზენტაცია მოაწყო. წიგნის სათაური დაახლოებით ასე ჟღერს — „ნამდვილი მოცურავე“.

ის, თუ როგორი მოცურავეა, პოპოვს არაერთხელ დაუმტკიცებია. რუსმა მოცურავემ ბარსელონაში. ახლაც ყოველგვარი ზედმეტი შრომის გარეშე შემლო ჩემპიონობა. „ცარმა“, როგორც მას დასავლეთში უწოდებენ სპრინტერულ დისტანციებზე — 50 და 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში იმარჯვა. შესაბამისად 23,20 და 49,74.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ რუსეთის მოცურავეთა ნაკრების ლიდერი მარე ნოსტრუმის ყველა სერიაში ასპარეზობას აპირებს. ამის მერე სავარაუდოდ იგი კანბერაში დაბრუნებას გეგმავს, ხოლო ივლისში მოსკოვში გაფრინდება, რათა როგორც სოკ-ის წევრმა ამ ორგანიზაციის სესიაში მიიღოს მონაწილეობა.

რუსის დარად ორჯერ იზეიმა გამარჯვება სიდნეის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა იანა კლოჩკოვამ. ბარსელონაში, ისევე როგორც სიდნეიში, მან კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ 200 და 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში უძლიერესია. მას ჩემპიონობისთვის შესაბამისად 2.15,65 და 4.41,82 წუთი დასჭირდა.

იმავე მანძილებზე, ოღონდ თავისუფალი სტილით ცურვაში გამარჯვებისთვის ორჯერ ავიდა კვარცხლბეკზე ატლანტის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი კოსტარიკელი კლაუდია პოლი. შესაბამისად 1.59,38 და 4.11,88.

თავი ისახელეს სხვა ოლიმპიელებმაც.

50 მეტრზე ბრასით ცურვაში აუზის კიდეს პირველი შეეხო სამხრეთაფრიკელი სარა პოვი (32,10), მერე კი მეორე გამარჯვებაც იზეიმა, ამჯერად 100 მეტრზე იმავე დისციპლინაში (1.09,14). წარმატებასთან ახლოს იყო მისი მეტოქე ამერიკელი ამანდა ბერდიც. ამაზე შედეგიც მეტყველებს — 1.09,31.

ორი „ოქრო“ მოიპოვა უკრაინელმა ოლეგ ლისოგორმაც. მან თავდაპირველად უმოკლეს დისტანციაზე — 50 მეტრზე ბრასით ცურვაში გაიმარჯვა (28,58), მერე კი გაორმაგებულ მანძილზეც იყოჩაღა (1.02,17).

ამჯერად მარე ნოსტრუმის მეორე ეტაპს საფრანგეთის კანი მასპინძლობს. მასში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა და 13-გზის მსოფლიოს რეკორდსმენმა იან ტორპმა. მისგან ბუნებრივია ყველა მსოფლიოს საუკეთესო შედეგს მოელის, თუმცა...

„ამჟამად მე იაპონიის მსოფლიო ჩემპიონატისთვის ვხურდები. ასე რომ, მსოფლიო რეკორდებს ტყუილად მოელით“ — ცივი წყალი გადაასხა ავსტრალიელმა გულშემატკივრებს.

**გიგა გურასაშვილი**

# დინამიტის შვებულება

მეოთხედფინალი

ქალები

**ჯენიფერ კაპრიატი (4, აშშ) — სერენა უილიამსი (6, აშშ) 6:2, 5:7, 6:2**

11 წლის წინ პრესკონფერენციებზე სალეჭ რეზინის ბერვის მოყვარულმა, ლოყაწითელმა და საოცრად მხიარულმა თინეიჯერმა ჯენიფერ კაპრიატიმ პარიზში დაამტკიცა, რომ ხმები მისი ფენომენალურობის შესახებ გადაჭარბებული სულაც არ იყო და პირველივე ცდაზე როლან გაროსის ნახევარფინალში გააღწია. ასე ადრე, 14 წლის ასაკში, ეს არც მანამდე მოუხერხებია ვინმეს, არც მას მერე და ძნელი წარმოსადგენია, ოდესმეც მოახერხოს.

სამშაბათ საღამოს, საჩოგბურთო სტანდარტებით თითქმის მთელი საუკუნის შემდეგ, ყოფილმა ვუნდერკინდმა ერთხელაც დაიბევა ადგილი საფრანგეთის ღია პირველობის საუკეთესოთა ოთხეულში: „მხოლოდ ის მახსოვს, რომ მაშინ ყველაფერი იოლად, თავისით მოვიდა ჩემთან, მგონი, ნახევარიფინალამდე ერთი დაძაბული მატჩიც კი არ მქონია. ამჯერად იგივეს მიღწევა გაცილებით ძნელი იყო, აქამდე მოსასვლელად მეტი მძიმე შრომა დამჭირდა და ამიტომ უფრო ტკბილადაც მეჩვენება."

კაპრიატისა და უმცროსი უილიამსის შეხვედრას ჩოგბურთის ქომაგები მეოთხედფინალებიდან ყველაზე მოუთმენლად ელოდნენ, მაგრამ მატჩის პირველი ერთი საათი საოცრად იმედგამაცრუებელი გამოდგა. სერენა, რომელსაც როლან გაროსამდე მუხლის ტრავმის გამო ორი თვე არსად ეასპარეზა, თანამემამულესთან საბრძოლველად მზად აშკარად არ ჩანდა, შეცდომას შეცდომაზე უშვებდა და ბოლოს ისე დაშინდა, თავისი დაკუნთული ხელების მადაზე მოქნევასაც კი უფრთხოდა.

კაპრიატიმ მეტოქის საჩუქრებით შესანიშნავად ისარგებლა, პირველი ხელი იოლად მოიგო და მეორეშიც 5:3 დაწინაურდა. ყველაზე საინტერესოც მაშინ დაიწყო. 5:4-ზე ავსტრალიის ღია პირველობის ჩემპიონმა თავისი პირველი მატჩ-პოინტი ორმაგი შეცდომით გაანიავა, მომდევნო რამდენიმე წუთის მანძილზე თვალზე და ტვინზე ბინდი გადაეფარა და ბურთის კორტის ფარგლებში მოხვედრება ამოუხსნელ ამოცანად ექცა.

ნერვიულმა შეტევამ კაპრიატის ზედიზედ ხუთი გეიმის წაგების მერეღა გადაუარა, მასზე არანაკლებად მოცრდვილე უილიამი ისევ ყველა ასპექტში დაჩაგრა და 5:2 გაიჭრა წინ. მისდა სამწუხაროდ, მატჩ-პოინტების გარეშე საჩოგბურთო მატჩების მოგების ხერხი (თუ, რა თქმა უნდა, მეტოქე თავად არ დაგნებდა) ჯერჯერობით არავის მოუგონია, ამ სიტყვაზე ფიქრიც კი ჯენიფერს ისევ ცუდად ხდიდა.

კაპრიატის განსაკუთრებით „ტკბილად" ორი თვის წინანდელი კი ბისკეინის ტურნირის ფინალი ახსენდებოდა, როდესაც სერენას უფროს დასთან, ვინუსთან მოახერხა 8 მატჩპოინტი ქარისთვის გაეტანებინა და წაეგო. „ვფიქრობდი, ო, ღმერთო, ოღონდ ისევ ეს არა-მეთქი. სიტუაცია ცოტათი კოშმარს დაემსგავსა. თუმცა, მგონი, იმ მარცხიდან ჭკუა ვისწავლე. ამჯერად გადავწყვიტე, თუ წაგება მიწერია, რისკიანად თამაშით წავაგებ და არა ხელის კანკალით-მეთქი."

კიდევ ორი მატჩ-პოინტის გაცუდების, ტუჩების გვარიანად დაკვნეტისა და სუნთქვის გაძნელების შემდეგ მოწყალება ისევ უმცროსმა უილიამსმა გაიღო, ბექჰენდი უკანა ხაზს გადააცილა და კაპრიატის, თავის და მაყურებელთა ტანჯვას ბოლო მოუღო.

ახლა ამერიკელს ნახევარფინალში კიდევ უფრო მძიმე გამოცდა ელის მსოფლიოს პირველი ჩოგნის, მარტინა ჰინგისის სახით: „მე მას მელბურნში მოვუგე და ეს გარკვეულ უპირატესობას მანიჭებს. ამავე დროს ვიცი, მარტინას აქ გამარჯვება ყველაზე მეტად სურს და ყველაფრისთვის უნდა ვიყო მზად."



ჯენიფერ კაპრიატიმ ნახევარფინალში გასვლამდე ყველა გააწვალა

ესპანელი საოცრად ზუსტი და მახვილგონივრული აბრაგანებით იცავდა თავს, მეტოქეს შეტევის ყოველგვარ შესაძლებლობას უსპობდა, თავად კი ტყვიასავით ფორჰენდით სჯიდა ავსტრალიელს ყოველი სუსტი დარტყმისთვის. „მოსკიტომ" 3:4-დან ზედიზედ 7 გეიმი მოიგო, მესამე სეტის დასაწყისშიც აართვა მოწოდება ოზს და თამაშის ყოველგვარი ხალისი გაუქრო.

„ვიცოდი, რომ ჰიუიტს ნებისმიერ მომენტში შეეძლო გამოცოცხლება და მატჩის გადარჩენა, ამიტომ მნიშვნელოვანი იყო, ბოლომდე არ შემენელებინა ზეწოლა. მან თიხნარზე თამაში ბოლო ხანებში კარგად ისწავლა, დღეს თითქმის სრულყოფილად უნდა გავრჯილიყავი მის დასამარცხებლად" — მეტოქის ქებაში აშკარად გადააჭარბა ფერერომ.

ჰიუიტმა თავი იმით იმართლა, პირველი სეტის შემდეგ ფეხები აღარ მემორჩილებოდაო, თუმცა თავისი ფერეროსაც მიაგო: „ამ წუთისთვის ის ნამდვილი დინამიტია. არ მახსოვს, ბოლოს როდის დამჩაგრეს ასე მწარედ კორტზე. მის დამარცხებას რაღაც სასწაული დასჭირდება."

სასწაული მოხდება თუ არა, ძნელი სათქმელია, მაგრამ მომდევნო წრეში თიხნარის სეზონის ორ საუკეთესო ჩოგბურთელს, ფეროროსა და გუსტავო კუერტენს შორის ნაადრევი ფინალი შედგება: „ტურნირის დასაწყისიდან ყველა ამ მატჩზე საუბრობს, ის უკვე კარს მოგვადგა და უნდა გითხრათ, ძალიან მინდა, მოვიგო. შარშან „გუგამ" აქ დამამარცხა, მაგრამ ამ ერთ წელიწადში დიდი გამოცდილება შევიძინე და ახლა უკეთ ვთამაშობ. ვნახოთ, მე ცდას არ დავაკლებ შურის საძიებლად."

პარასკევამდე კი „მოსკიტო", რომელსაც ორი კვირის წინ საზარდულის, მუცლისა და ფეხის ტრავმები აწუხებდა, დამსახურებულ მინი-შვებულებას აიღებს: „ბოლოს და ბოლოს პარიზის დათვალიერების შანსი მომეცემა. სენაზე ნავით გავისეირნებ და შეიძლება, ასტერიქსის პარკშიც შევიარო. ხვალ ჩოგანს არც გავეკარები, ალბათ, ოციოდ წუთს თუ ვიძუნძულებ."

**ალექს კორეჩა (13, ესპანეთი) — როჯერ ფედერერი (შვეიცარია) 7:5, 6:4, 7:5**

ალექს კორეჩა ქალთა მსოფლიოს პირველი ჩოგნის, მარტინა ჰინგისის კაცური ვარიანტია. შვეიცარიელის არ იყოს, 27 წლის ესპანელსაც არ გააჩნია რაიმე გამორჩეულად ძლიერი იარაღი, სამაგიეროდ, კორტზე თითქმის ყველაფრის კეთება ეხერხება, ცოტას ცდება და საზრიანი, რამდენიმე სვლით წინასწარ გათვლილი კომბინაციებით ცდილობს მეტოქეთათვის ბოლოს მოღებას.

ერთი მხრივ, ჭადრაკ-ჩოგბურთის ცქერა ზოგჯერ სასიამოვნოა, მაგრამ ხშირად სურვილი გიპყრობს, იყვირო, მიდი რა, დაარტყი და გაათავეო. ოღონდ კორეჩა მაინც არასოდეს ჩქარობს, მოწინააღმდეგეს კორტის ერთი კიდიდან მეორეში დაარბენინებს და მხოლოდ მაშინ ასრულებს გათამაშებას, როცა სხვა გამოსავალი არა აქვს (ვთქვათ, მეტოქე ბადესთან გავიდა) ან ბურთს ბადის მეორე მხარეს გადაგდებაღა სჭირდება.

19 წლის ამომავალი ვარსკვლავი როჯერ ფედერერი წინდაწინვე განწირული იყო მეოთხედფინალში დასამარცხებლად. დღეისთვის მას არც სტაბილურობა აქვს საკმარისი და არც გამოცდილება ესპანელთან თიხნარზე გასამკლავებლად, ამიტომ მეტოქის მათრობელა-მახრჩობელა რგოლებში თავიდანვე უკანმოუხედავად გაეხვია და კორეჩას ლუკმად როდის გადაიქცეოდა, მხოლოდ დროის ამბავი იყო (ამას თუ ზუსტნი ვიქნებით, 2 საათი და 41 წუთი დასჭირდა).

**სებასტიან გროჟანი (10, საფრანგეთი) — ანდრე აგასი (3, აშშ) 1:6, 6:1, 6:1, 6:3**

ნახევარფინალში პარასკევს ერთმანეთს შეხვდებიან გროჟანი — კორეჩა და კუერტენი — ფერერო.

*წლევანდელ როლან გაროსზე მოასპარეზე ერთადერთმა ქართველმა — სალომე დევიძემ იუნიორ გოგონათა ტურნირზე წყვილებში რუს ნინა ბრატჩიკოვასთან დუეტში პირველ წრეში ფრანგები, ფაბიენ კლაველი და ანაის ლორანდონი დაამარცხა 1:6, 6:2, 6:2.*

**ავთანდილ სვანიძე**

მეოთხედფინალი

ვაჟები

**ხუან კარლოს ფერერო (4, ესპანეთი) — ლეიტონ ჰიუიტი (6, ავსტრალია) 6:4, 6:2, 6:1**

თუ კაპრიატის და უილიამსის შეხვედრას დაძაბულობა და დრამატიზმი მეტოქეთა შეცდომებმა მაინც შეჰმატა, ATP-ის ახალი თაობის ორი ვარსკვლავის მატჩი მოულოდნელად ცალკარა გამოდგა. მსოფლიოს მეოთხე ჩოგანმა ხუან კარლოს ფერერომ 20 წლის ავსტრალიელ ლეიტონ ჰიუიტს ყველაფერში აჯობა და თიხნარზე თამაშის ორსაათიანი გაკვეთილი ჩაუტარა.

ჰიუიტი „მოსკიტოდ" წოდებული ესპანელის ბასრ გამოხტომებს მხოლოდ თავიდან, პირველ ხელში უმკლავდებოდა. 4:3-ზე მას კარგი შანსი ჰქონდა, მეტოქისთვის მოწოდებს აერთმია, მაგრამ ფერერო ამ ხიფათს დაუძვრა თუ არა, სიტუაციის სრული ბატონ-პატრონი გახდა.



ალექს კორეჩამ როჯერ ფედერერი მოინელა

ცაი-ბრეიკი

## პაპენი მსოფლიოს მოერია

**ძალიან** იშვიათად, მაგრამ მაინც არის ისეთი შეხვედრები, როდესაც ჩოგბურთელები ბურთის ბადის ზემოდან გადაგდებას კი არა, მასში გახვევას ცდილობენ. არა, ჩაწყობილი მატჩები და ძალად წაგების მსურველები აქ არაფერ შუაში არიან, საქმე უკვე ტრადიციად ქცეულ საფეხბურთო მატჩს ეხება, რომელშიც როლან გაროსზე მოასპარეზე ფრანგი ჩოგბურთელები დანარჩენი მსოფლიოს ნაკრებს ხვდებიან.

მორიგი შეხვედრა ორშაბათს საღამოს, კლუბ „პარი სენ ჟერმენის" სტადიონ „პარკ დე პრენსზე" შედგა. მასპინძელთა შემადგენლობაში სხვებთან ერთად სედრიკ პიოლინმა და აწ უკვე პენსიონერმა გი ფორჟემ ითამაშეს, უცხოელებს შორის კი მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგნები ჯონ მაკინროი და პატრიკ რაფტერი, ასევე მაროკოელი ჰიშამ არაზი გამოირჩეოდნენ.

მატჩის ბედი სპეციალურად მიწვეულმა სტუმარმა — მარსელის „ოლიმპიკისა" და „მილანის" ყოფილმა თავდამსხმელმა ჟან-პიერ პაპენმა გადაწყვიტა. ფრანგმა აშკარად დაჩრდილა მეტოქეთა დასახმარებლად მიწვეული პსჟ-ს მწვრთნელი, ჩოგბურთის დიდი მოყვარული ლუის ფერნანდესი, ჰეთ თრიქი გააკეთა და მასპინძლების 6:4 გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო.

## ათასად კაცი დაფასდა

**ტურნირზე** მეექვსედ განთესილი ავსტრალიელი ლეიტონ ჰიუიტს გილერმო კანასთან მერვედფინალური მატჩის დროს მთავარი მსაჯის შეურაცხყოფა 1000 დოლარად დაუჯდა. ბევრის აზრით, 20 წლის ოზი კიდევ იოლად გადარჩა.

კანასთან დაძაბული, ხუთსეტიანი შეხვედრის დროს მილიონობით ტელემაყურებელმა გაიგონა, როგორ უწოდა ჰიუიტმა შვეიცარიელ მსაჯ ანდრეა ეგლის „სპაზმატიკი" (რაც ავსტრალიელმა მოგვიანებით პრესკონფერენციაზე უარყო). მწვანეკონტინენტელი არც ამაზე შეჩერებულა და კიდევ ერთი გადაწყვეტილებით უკმაყოფილომ მთავარი მსაჯი უკვე გაცილებით კეთილხმოვანი ოთხასოიანი ინგლისური გინებით შეამკო.



ლეიტონ ჰიუიტი

„მგონი, მეორე სეტი იყო, კანასის დარტყმული ბურთი აუტში გადავიდა, მაგრამ მან ჩათვალა, რომ ხაზს გაეკარა. ოდნავ მოგვიანებით აუღებელი მოწოდება დავარტყი, ჩემი მხრიდან კარგად ვერ ვხედავდი, მსაჯმა კი ასცდაო, მითხრა. როდესაც კორტზე მხარეები შევიცვალეთ, ბურთის დატოვებულ კვალს დავხედე. ღმერთმა იცის, როგორ შეეძლო ის მოწოდება აუტად მიეჩნია" — თავი იმართლა ჟურნალისტებთან ჩოგბურთელმა.

ოფიციოზთან „შეხმატკბილებული" ურთიერთობები ჰიუიტს ადრეც აკავშირებდა. იანვარში ავსტრალიის ღია პირველობაზე ასევე მსაჯის შეურაცხყოფისთვის ის რამდენიმე ათასი მწვანით დააჯარიმეს. ATP-ის წარმომადგენლებმა პარიზში ჩოგბურთელი გააფრთხილეს, რომ მსგავსი ინციდენტის გამეორების შემთხვევაში სასჯელი გაცილებით მძიმე იქნება.

## კაცები იბრძვიან უფლებებისთვის

**საფრანგეთის** ჩოგბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებამ, გაეზარდა ქალებისთვის განკუთვნილი საპრიზოების რაოდენობა და ნაკლები გადაეხადა ვაჟი წყვილებისთვის, ამ უკანასკნელთა სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია. იონას ბიორკმანის მეთაურობით, რომელიც პარტნიორ ტოდ ვუდბრიჯთან ერთად როლან გაროსზე პირველადაა განთესილი და ამასთან ATP-ის მოთამაშეთა საბჭოს თავმჯდომარეცაა, ვაჟები კონტრშეტევაზე გადასვლას გეგმავენ.

ძლიერი სქესის წარმომადგენლები ამჯერად არ შემოიფარგლებიან ქალების ჩოგბურთის ავ-კარგის გარჩევითა და გაქილიკებით, ისინი გაცილებით ფართომასშტაბიანი თავდასხმის მოწყობას აპირებენ. ერთ-ერთი მთავარი თემა ის იქნება, თუ რატომ უხდიან დიდი სლემის ტურნირები თავიანთი შემოსავლის მხოლოდ 13-14 პროცენტს მოთამაშეებს, როდესაც ანალოგიური მაჩვენებელი სხვა პროფესიულ სპორტის სახეობებში გაცილებით მაღალია, მაგალითად, კალათბურთსა და ბეისბოლში ხელფასისა და პრემიების სახით თითქმის 65 პროცენტს შეადგენს.

დიდი სლემის ტურნირების ორგანიზატორები თავს იმით იმართლებენ, რომ შემოსავლიდან ბავშვთა ჩოგბურთის განვითარების სხვადასხვა პროგრამას აფინანსებენ (უიმბლდონმა შარშან ინგლისის ჩოგბურთის ფედერაციას 30 მილიონი გადაურიცხა). გავეშებული მოთამაშეების რეაქცია ამაზე დაახლოებით, ისეთი იყო, ეგ ზღაპრები ბებოს მოუყევითო.

„მივესალმებით ყველა კარგ წამოწყებას, მაგრამ სხვა სპორტებთან განსხვავება მაინც ანომალიურად დიდია. ჩვენ ზოგიერთ ვარსკვლავზე გაცილებით აქტიურად ვიბრძოლებთ სამართლიანობის აღსადგენად" — ამბობს ბიორკმანი, რომელიც იმანაც აღაშფოთა, რომ ჩოგბურთელებს არაფერს დაეკითხნენ და საპრიზოების შემცირების შესახებ მაშინღა შეატყობინეს, როცა აღარაფრის შეცვლა არ შეიძლებოდა.

ახლა წყვილების ოსტატები ფოტოგრაფების დაქირავებას და მათი მატჩების დროს ტრიბუნებზე მყოფ მაყურებელთა სურათების გადაღებას აპირებენ. ეს საფრანგეთის ჩოგბურთის ფედერაციის ჩინოვნიკთა ერთხელ და სამუდამოდ ჩასაჩუმებლადაა საჭირო, რომლებიც ამტკიცებენ, რომ წყვილების შეხვედრებს, უბრალოდ, არავინ ესწრება.

## ყველას ვერ ასიამოვნებ

**ყველასათვის** უცნობმა ფრანგმა ნიკოლა კუტლომ წლევანდელ როლან გაროსზე მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგან მარსელო რიოსს მოუგო და, კარიერაში პირველად, ხეირიანი ტურნირის მესამე წრეში გააღწია. კლასიფიკაციით 177-ე ფრანგმა ჟურნალისტებთან ურთიერთობის პირველი მაგალითებიდან ჭკუაც სწრაფად ისწავლა.

როდესაც ერთმა თანამემამულემ პრესკონფერენციაზე ჰკითხა, უახლოეს მომავალში რა ამოცანებს უსახავ თავსო, კუტლომ საოცარი სიმარჯვით დაიძვრინა თავი: „არ გეტყვით, რას ვაპირებ. რომ განვაცხადო, სეზონის ბოლოს პირველი ჩოგანი მინდა გავხდე-მეთქი, ქვეყანას მოსდებთ, გიჟიაო, სხვას ვიტყვი და განაცხადებთ, ამბიცია არ გააჩნიაო".

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარბიელი

**სპორტული ლატარია**

CROCO

BOOKMAKERS

**კროკო**

*ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.* !

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“) |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან“ |
| | წერეთლის გამზირი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| გორი | სტალინის ქუჩა №30 | ჭადრაკის კლუბი |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №61 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| ქობულეთი | ალმაშენებლის ქუჩა №106 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

① ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ

② შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება

③ შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება)

④ მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში

⑤ წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი

⑥ არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა. ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

ოლეგ ნავალიშვილის ფოტო



კოჯრის აღმართი ყველაზე სწრაფად ჯემალ გულარაშვილმა დაძლია

# სიმკაცრემ საუკეთესოები აზარალა

**საქართველოს** საავტომობილო ფედერაცია (სსფ) წლეულს საკმაოდ ბევრი შეჯიბრის ჩატარებას გეგმავს, როგორც მოყვარულ, ასევე პროფესიონალ მრბოლთა შორის.

თუ მოყვარულებმა უკვე სამ ასპარეზობაში მიიღეს მონაწილეობა, პროფესიონალები ჯერ მხოლოდ აღმართის ჩქაროსნულ დაძლევაში გაეჯიბრნენ ერთმანეთს. საამისოდ შერჩეული იქნა ტაბახმელა — კოჯრის გზატკეცილის საკმაოდ რთული ხუთკილომეტრიანი მონაკვეთი, რომელიც მონაწილეებს ოთხჯერ უნდა გაევლოთ.

სსფ-მ წლეულს გაამკაცრა მოთხოვნები პილოტთა უსაფრთხოების ასამაღლებლად და მრბოლებს საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის მიერ დადგენილი საამისო ყველა პირობის შესრულება მოსთხოვა. საუბარია სპეციალურ კომბინეზონზე, ჩაფხუტზე, დამცავ ღვედებზე, ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობაზე და ასე შემდეგ, რაც არცთუ მცირე ხარჯებთანაა დაკავშირებული. ამის გამო ასპარეზობაში გამოსვლა მხოლოდ ექვსმა მრბოლმა შეძლო. საწყენია, რომ ამ მიზეზით მონაწილეთა შორის ვერ ვიხილეთ გასული სეზონის საუკეთესო პილოტები — მირიან ონოფრიშვილი და თემურ აბრამოვი.

მრბოლები სტარტს ცალ-ცალკე იღებდნენ ორწუთიანი ინტერვალით, ადგილები კი ბოლო ორ ცდაზე ნაჩვენები საუკეთესო დროის მიხედვით განაწილდა.

აბსოლუტურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავა „ოპელ-კალიბრათი“ მოასპარეზე ჯემალ გულარაშვილმა. მან ტრასის გავლას 2 წუთი და 58,02 წამი მოანდომა. მეორე ადგილი (2.59,55) ლევან ლომაძეს (ტოიოტა-სელიკა) ხვდა წილად, ხოლო მესამე (2.59,96) — დავით წიკლაურს (ლადა-სამარა), რომელმაც იმავდროულად 1 600 კუბ.სმ. კლასის ჩათვლაში გაიმარჯვა.

კარტინგისტებმა თავიანთი ჩემპიონატის რვა ეტაპიდან უკვე სამის გამართვა მოასწრეს. ისინი რუსთავის მახლობლად, ყოფილი დოსააფის რესპუბლიკური სპორტულ-ტექნიკური კლუბის ტრასაზე ეჯიბრებიან ერთმანეთს.

„მინის“ კლასში (12 წლამდე) 20 ქულით ასპარეზობის ყველაზე ნორჩი მონაწილე, შვიდი წლის თელაველი გიორგი ბადურაშვილი დაწინაურდა. აღსანიშნავია, რომ იგი მეორე ეტაპიდან ჩაერთო შეჯიბრებაში და ორივე რბოლა დამაჯერებლად მოიგო. რუსთაველი დიმა უმიკაშვილი ლიდერს ოთხი ქულით ჩამორჩება, ხოლო ერთადერთ მონაწილე გოგონას, ანი იაშვილსა და გიორგი გამყრელიძეს 13-13 ქულა აქვთ.

„სუპერ A“ კლასში ასევე 20 ქულით წინაა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი გიორგი ოგბაიძე. გიორგიმ პირველი ორი ეტაპი ადვილად მოიგო, მესამე კი მისთვის უიღბლო გამოდგა. ჯერ იყო, კვალიფიკაციისას ძრავა დაუზიანდა. მექანიკოსებმა მოასწრეს მისი შეცვლა, მაგრამ შუა რბოლისას ახალსაც იგივე ბედი ეწია.

ლიდერის არყოფნაში გამარჯვებას ერთმანეთს კარტინგის ვეტერანი ნუკრი პავლიაშვილი და 12 წლის ირაკლი ხიდაშელი ეცილებოდნენ. საინტერესო და უშეღავათო ბრძოლაში წარმატებას მიაღწია ხიდაშელმა, რომელსაც ბიძა, წარსულში ცნობილი კარტინგისტი, სსრკ-ს ყოფილი ჩემპიონი თემურ ხიდაშელი წვრთნის. ამ გამარჯვებით ირაკლის თოთხმეტი ქულა დაუგროვდა და ცხრილში მეორე ადგილზე დამკვიდრდა. შემდეგ 8-8 ქულით ლევან იაშვილი და ოვანეს კოგოსოვი მოდიან.

მომდევნო, მეოთხე ეტაპი 23 ივნისს გაიმართება.

**ოლეგ ნავალიშვილი**


## ავტომოყვარულთა საყურადღებოდ!

**შაბათს 9 ივნისს 11.00 საათზე რიყის მოედანზე სტარტს აიღებს ავტომოყვარულთა რალის მეორე ეტაპი. მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ ავტომოყვარულს.**

მონაწილეების რეგისტრაცია ჩატარდება პარასკევს 8 ივნისს 13.00 საათიდან 18.00 საათამდე საქართველოს საავტომობილო ფედერაციის შენობაში. მის. სანდრო ეულის №1.
დამატებითი რეგისტაცია ჩატარდება შაბათს 10.00 საათზე.
საკონტაქტო ტელეფონებია: 536 536, 305 503.


CART მეექვსე ეტაპი
მილუოკის (აშშ) დიდი პრიზი

# ბრაკი მადაზე მოვიდა

**მიუხედავად** იმისა, თუ რა შედეგით დაასრულებს წლევანდელ სეზონს შვედი მრბოლი კენი ბრაკი, ჩემპიონობას მოიპოვებს, თუ პრიზიორთა შორისაც კი ვერ მოხვდება, მისი სახელი უკვე სამუდამოდ ჩაიწერა კარტის გმირთა სიაში, რადგან ეტაპის მოგება, თანაც ზედიზედ ორის, გამორჩეული მიღწევაა. შარშან, მაგალითად, მხოლოდ ერთი ასეთი შემთხვევა აღინიშნა.

სკანდინაველი საკმაოდ ხნიერი, 34 წლისა გამოჩნდა კარტში, თუმცა უცბად აუღო ალღო მთელს დუნიაზე უსწრაფესი ბოლიდებით ჯირითს და შარშანდელი, პირველივე სეზონი დებიუტანტის კვალობაზე მშვენივრად ჩაამთავრა — 135 ქულა და საერთო მეოთხე ადგილი ბევრად გამოცდილებსაც შეშურდებოდათ. ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ ბრაკმა კარტის სახელოვან ჩემპიონებს აჯობა, კერძოდ ამერიკელებს — მაიკლ ანდრეტისა და ჯიმი ვასერს, კოლუმბიელ ხუან პაბლო მონტოიას.

წლევანდელი, რიგით 88-ე ჩემპიონატი ბრაკისთვის უფრო იღბლიანად დაიწყო — კარიერაში პირველი გამარჯვებებიც იზეიმა და გათამაშებასაც სოლიდური უპირატესობით ლიდერობს.

მორიგ, მეექვსე ეტაპს ვისკონსინის შტატის ქალაქ მილუოკის ოვალმა უმასპინძლა. ერთმილიანი წრე მრბოლებს 225-ჯერ უნდა შემოევლოთ. ბრაკი სტარტზე პირველი კი იყო, მაგრამ კინაღამ რბოლის დაწყებამდე გახსნის წრეზე გამოეთიშა ასპარეზობას — მისი „ლოლასა“ და ბრაზილიელი ჰელიო კასტრონევეშის „რეინარდის“ ბორბლები ერთმანეთს წამოედო. სამხრეთამერიკელისთვის რბოლა იქვე დასრულდა, ბრაკმა კი ტრასაზე მანქანის შეკავება შეძლო და ნახევარ დისტანციაზე მეტხანს ქარავანს სათავეშიც ედგა, რითაც პრემიალური ქულაც დაიმსახურა. შუა რბოლაში წინ ვეტერანი ანდრეტი გაიჭრა, მაგრამ 183-ე წრეზე შვედმა პილოტმა ლიდერობა დაიბრუნა და ფინიშის ხაზიც პირველმა გადაკვეთა. ანდრეტი გამარჯვებულს სულ მცირედ — 1,3 წამით ჩამორჩა. აღსანიშნავია, რომ ეს მეორე ადგილი 38 წლის მრბოლისთვის წლეულს საუკეთესო შედეგია. ცხადია, დებიუტანტების — ახალზელანდიელი სკოტ დიქსონისა და ბრაზილიელი ბრუნო ჟუნკეირას მაღალ ადგილებზეც უნდა ითქვას, კიდევ იმაზე, რომ ჯერჯერობით ერთი ეტაპის მოგებაც ვერ მოუხერხებია შარშანდელ ჩემპიონს, ბრაზილიელ ჟილ დე ფერანს.

მეშვიდე რბოლა 17 ივნისს დეტროიტის (აშშ) ქუჩებში გაიმართება.

**გია ახალაძე**

**რბოლის შედეგები**
**225 წრე — 374 კმ**

1. კენი ბრაკი (შვედეთი, ლოლა — ფორდი) 1სთ; 54.08, 097 (196,6კმ/სთ საშუალო სიჩქარე); 2. მაიკლ ანდრეტი (აშშ, რეინარდ-ჰონდა) ჩამორჩა 1,3 წამით; 3. სკოტ დიქსონი (ახალი ზელანდია, რეინარდ-ტოიოტა) 3,0; 4. ბრუნო ჟუნკეირა (ბრაზილია, ლოლა-ტოიოტა) 6,7; 5. ადრიან ფერნანდესი (მექსიკა, რეინარდ-ჰონდა) 9,7; 6. ტონი კანაანი (ბრაზილია, რეინარდ-ჰონდა) 10,3; 7. ჟილ დე ფერანი (ბრაზილია, რეინარდ-ჰონდა) 12,8; 8. მასიმილიანო პაპისი (იტალია, ლოლა-ფორდი) 17,8; 9. დარიო ფრანკიტი (შოტლანდია, რეინარდ-ჰონდა) 1 წრით; 10. მაურისიო გუჯელმინი (ბრაზილია, რეინარდ-ტოიოტა) 1 წრით; 11. ალექს ტალიანი (კანადა, რეინარდ-ფორდი) 1 წრით; 12. ალესანდრო ძანარდი (იტალია, რეინარდ-ჰონდა) 1 წრით

**საერთო ჩათვლა**

1. კენი ბრაკი 70 ქულა; 2. ჰელიო კასტრონევეში (ბრაზილია, რეინარდ-ჰონდა) 47; 3. კრისტიანო და მატა (ბრაზილია, ლოლა-ტოიოტა) 40; 4. პოლ ტრეისი (კანადა, რეინარდ-ჰონდა) 40; 5. ჯიმი ვასერი (აშშ, რეინარდ-ტოიოტა) 40; 6. სკოტ დიქსონი 38; 7. ჟილ დე ფერანი 36; 8. მაიკლ ანდრეტი 36; 9. ტონი კანაანი 34; 10. ბრუნო ჟუნკეირა 23




კენი ბრაკმა კარიერაში მეორე რბოლა მოიგო



ევროპის ჩემპიონატი

# ოჰრიდში ორხელისუფლებიანობა აღდგა

**ევროპის** ჩემპიონატის მეხუთე ტურში როგორც იქნა, რაღაც დაკარგა ლიდერმა კონსტანტინ ავსეევმა, რომელიც ქულათა მაქსიმუმით იყო პირველ ადგილზე. შვეიცარიული სისტემა ყოველ ტურში თანაბარქულიანთა შეხვედრებს გულისხმობს და ასეევი მომდევნო რიგში 3,5 ქულით მომავალს შეხვდა. ის გახლდათ ბულგარელი ალექსანდრ დელჩევი, რომელმაც თეთრებით ასეევს მხოლოდ ქულა გაუყო. ამასობაში შავებით უმნიშვნელოვანესი პარტია მოიგო უკრაინელმა გეორგი ტიმოშენკომ და ასეევს მხოლოდ ის დაეწია, რადგან დანარჩენებს კიდევ უფრო ნაკლები ქულები ჰქონდათ. ახლა ცხრილის თავში რუსი და უკრაინელი დგანან, თუმცა მათი მდგომარეობა მოჩვენებითია, შვეიცარიული სისტემით და ისიც 13 ტურად მიმდინარე ჩემპიონატი ჯერ ბარე ორ ლიდერს კიდევ გამოიცვლის.

მეხუთე ტურში სამქულიანებიდან გაიმარჯვეს სომეხმა სმბატ ლპუტიანმა, რუსმა კონსტანტინ საკაევმა, შვეიცარიელმა ვადიმ მილოვმა და რაც გამოსარჩევია: უნგრელმა და მკვიდრმა ებრაელებმა, იუდით პოლგარმა და ბორის ავრუხმა. პირველი ჩემპიონატის ერთადერთი მშვენიერია, მეორემ კი, სამწუხაროდ, ბაადურ ჯობავას ძლევით მიიქცია ჩვენი ყურადღება. ახალგაზრდა ქართველი საუცხოო სტარტის შემდეგ, ეტყობა, გამოცდილებამ დაალალატა და თეთრებით დაეჩაგვრინა ებრაელს. სიჩქარე შეინარჩუნა ზურაბ სტურუამ, რომელიც თავის შავი არმიით არც მეტი, არც ნაკლები, ატილას თეთრ ლაშქარს ეომებოდა. ატილა უნგრელი მოჭადრაკის, ზებეს სახელი გახლავთ. სტურუამ გაუძლო ატილას და ნახევარი ქულა აართვა, ხოლო დანარჩენი ქართველებიდან მეხუთე ტურში სასახელოდ ზვიად იზორია გაისარჯა, რომელმაც თეთრებით მოიგო და ქულათა ოდენობა 2,5 გაუხდა, რითაც ზურაბ აზმაიფარაშვილს გაუტოლდა. გიორგი ყაჭეიშვილი მათზე ოდნავ წინ მიდის, მიხეილ მჭედლიშვილს ქულანახევარი აქვს.

ოჰრიდში ჩემპიონატი ფიდეს იმ რეგლამენტით მიდის, როგორიც ვარშავაში ქალთა პირველობაზე მოქმედებდა. ანუ: საათი და 15 წუთი 40 სვლისთვის, სვლაზე 30 წამის დამატებით. 13 ტურის შემდეგ თანაბარქულიანები ადგილებს ტაი-ბრეიკებით გაინაწილებენ. საპრიზო ფონდი გვარიანია, ოღონდ 240 ათასი ამერიკული დოლარის 20 პროცენტი ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციას (ფიდე) და ევროპის საჭადრაკო კავშირს მიაქვთ. ჩემპიონი 40 ათას დოლარს მიიღებს, ვიცე-ჩემპიონი 30 ათასს, მესამე ადგილზე გასული 20-ს და ასე შემდეგ. ჭადრაკით ფულის კეთებას გადაჩვეული მოჭადრაკეებისთვის (ისინი ოჰრიდში უმრავლესობას შეადგენენ) კარგა მოზრდილი საზღაური გამოდის.

**დავით გულუა**

**ვითარება 5 ტურის შემდეგ**

1-2. კონსტანტინ ასეევი (რუსეთი), გეორგი ტიმოშენკო (უკრაინა) 4,5; 3-10. ბორის ავრუხი (ისრაელი), დენის დე ფრონიტი (ჰოლანდია), კონსტანტინ საკაევი (რუსეთი), ალექსანდრ დელჩევი (ბულგარეთი), სმბატ ლპუტიანი (სომხეთი), ვადიმ მილოვი (შვეიცარია), ლუკ ვან ველი (ჰოლანდია), ვიორელ იორდანესკუ (მოლდოვა) 4

ევროპის 2003 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი. 6 ივნისი. თბილისი. სპორტის სასახლე

**საქართველო 83:78 ბელარუსი**

21:25. 20:13. 18:31. 24:9

მსაჯები: იგორ ლებედევი (რუსეთი), თოლგა შაჰინი (თურქეთი); კომისარი: ევგენი ტრეგუბოვი (უკრაინა)

# ეს ვინ ყოფილა?!

## ზაზა ფაჩულია: ქართული კალათბურთის ახალი ლიდერი



მატჩის გმირმა ზაზა ფაჩულიამ გულშემატკივრების ზურგზე იმ სპორტის სასახლის მოედანი შემოიარა, რომელშიც ცხოვრებაში მეორედ ითამაშა

**საქართველო:** ჩხეიძე (3), გოგობერიშვილი (9), ბოისა (10), ნაცვლიშვილი (18), შენგელია; ფაჩულია (24), ქლენტი (8), ცქიტიშვილი (5), კოკოლიშვილი (4), უგრეხელიძე (2)

**ბელარუსი:** შარკო (5), პინტიკოვი (11), ბოიდაკოვი (18), მეშჩერიაკოვი, კული (11); კორშუკი (22), ალექსეევი (7), კლემეზი (4), ვასილევკო, ულიანკო

ირაკლი ფირაშვილი

„**კარგი** თამაში უნდა იყოს. ერთი ბიჭია, ზაზა ფაჩულია, ამბობენ, ძალიან მაგარიაო, მაგის სანახავად მოვედით, შვილო. ვნახოთ, რას იზამს" — ეუბნებოდა ჩემს უკან მჯდომი ერთი კაცი ცხრა-ათი წლის შვილს. ბიჭუნა მამიკოსთან ერთად ყურადღებით უსმენდა მამას და მოთმინებით ელოდა თამაშის დაწყებას.

ჩვეულებრივ, გამარჯვებული გუნდის შემადგენლობას არ ცვლიან, მაგრამ საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ზურაბ ტომარაძემ ბულგარეთის მომგები გუნდიდან ორი კალათბურთელი, დავით თორთლაძე და დავით ბერძენიშვილი, რევაზ ჩხეიძით და კახა შენგელიათი შეცვალა. ეროვნული ნაკრების თავკაცს ამ ცვლილების გაკეთება ბელარუსთა შემადგენლობის გაცნობამ უფრო უკარნახა. თავისთავად ცხადი იყო, ზორბა შენგელია ბელარუსთა ვეება ცენტრის, ალექსანდრ კულის შესაძლულად სჭირდებოდა ტომარაძეს, თორთლაძეზე ბევრად მაღალ ჩხეიძეს კი სტუმართა ორ მეტრს აცილებული ფორვარდის, ეგორ მეშჩერიაკოვის შეჩერება უნდა დავალებოდა. ჩვენთვის მთავარი საფრთხე ამ ორი კაცისგან უნდა წამოსულიყო და მათზე ბევრი რამ უნდა ყოფილიყო დამოკიდებული. ეს წინასწარი მონაცემებით, თორემ როგორც მატჩის მსვლელობამ დაგვანახა, ბელარუსთა ორი ვარსკვლავის ნაცვლად შეხვედრის ბედი საქართველოს ნაკრების 17 წლის ყმაწვილმა ცენტრმა, ზაზა ფაჩულიამ განსაზღვრა.

ფაჩულია მომავალში ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის რიგით მატჩზე გაცილებით მნიშვნელოვან თამაშებს მოიგებს და იქნებ ბელარუსთან შეხვედრა არც გაიხსენოს, მაგრამ გუშინ ამ ბიჭმა საკალათბურთო ევროპის ფსკერზე ოთხი წლით დალექილ საქართველოს ნაკრებს ლონიერი ბიძგი მისცა. ფაჩულიას მხრებზე გადაიარა მატჩის მთელმა სიმძიმემ და ნურავინ (და, ალბათ, არც არავინ) იტყვის, ამ თამაშს მის გარეშე მოვიგებდითო.

ფაჩულია შესანიშნავად მოქმედებდა მოედნის ორივე ბოლოში, გონივრულად და აგრესიულად. მან თამაშში მთელი ჯიგარი ჩადო, რაც იმთავითვე დაინახა ხალხმა და მადლობა სიყვარულით გადაუხადა. აბა, გაიხსენეთ, სპორტის სასახლეში ბოლოს როდის ნახეთ ხალხის მიერ ზეატაცებული ადამიანი? ყველამ ვიცით, რომ ტურნირი, რომელშიც ამჟამად ოფლს ღვრის საქართველოს ნაკრები, კონტინენტის საკრებო შეჯიბრებებს შორის უმდაბლესი რანგისაა და მასში თამაშის მოგება არცთუ ზუსტად ასახავს ჩვენი ნაკრების დონეს. მთლიანობაში არც ბელარუსის დამარცხება ნიშნავს ძალიან ბევრს, თუმც თუნდაც ამ „უმნიშვნელო" თამაშებში იშვიათ ხილად ქცეულ გამარჯვებას აგრერიგ დანატრებულმა ქართველმა ქომაგმა ბელარუსის ძლევა დიდ მიღწევად აღიქვა. შესაბამისად, ხალხის სიყვარულის მოზრდილი ულუფა გამარჯვებაში ლომის წილის დამდებ ფაჩულიას ერგო.

ბელარუსის ნაკრები ბულგარეთისაზე აშკარად ძლიერია, საკვალიფიკაციო ეტაპში მონაწილეობამდე, ფაქტობრივად, შემთხვევით დაშვებული. ყოფილი მოძმე რესპუბლიკელები პრაქტიკულად უძლიერესი შემადგენლობით და მხოლოდ ორი ქულისთვის ესტუმრნენ საქართველოს დედაქალაქს. ერთი კია, მათი ერთ-ერთი ლიდერი, ეგორ მეშჩერიაკოვი წელს იტკიებდა და მატჩის წინა დღეს ხეირიანად არც უვარჯიშია და გუშინაც ცოტა ხანს ითამაშა. ამას, ცხადია, ჩვენს წისქვილზე უნდა დაესხა წყალი, მაგრამ მეშჩერიაკოვის უთამაშებლობამ ქართველებს ბევრი ვერაფერი შეღავათი მისცა, რადგან რაც მისგან იყო მოსალოდნელი, შესანიშნავად აკეთეს ბელარუსთა ფეხმარდმა ფორვადებმა რუსლან ბოიდაკოვმა და დენის კორშუკმა. ამ ორმა და მათთან ერთად უკანახაზელებმა — ალექსეი პინტიკოვმა და ვლადიმერ შარკომ მოაოხრეს მეტოქის პერიმეტრი და სამქულიანებით თუ გარღვევაზე ჩაგდებულებით აიკლეს ჩვენი კალათი.

ბულგარეთთან ეს ნაკლებად მწვავედ იგრძნობოდა, აი, ბელარუსთან კი მთელი არსებით წამოიჭრა უკანა ხაზის, განსაკუთრებით კი გამთამაშებლის პრობლემა. საქართველოს კალათბურთელთა რჩეულ ათეულში მხოლოდ ერთი ნომინალური გამთამაშებელი იყო — არჩილ ქლენტი, მისი დასვენებისას კი გუნდის შეტევათა ორგანიზება გოგობერიშვილს, ჩხეიძეს და თვით ამპლუით თავდამსხმელ ნაცვლიშვილს (!) უწევდათ, მათ კი, რა დასამალია და, სხვა რამ უკეთ შეუძლიათ. ბელარუსზე სერიოზული მეტოქე ჩვენს ნაკრებში არსებულ ამ ბზარს, დიდ ხვრელად აქცევს. არც ის იყო გამორიცხული, ეს ხარვეზი ბელარუსთან მარცხის მიზეზიც გამხდარიყო.

არადა, მატჩამდე ჩვენებურთა ყურადღება ძირითადად სლავთა 212-სანტიმეტრიანი ალექსანდრ კულისკენ იყო მიპყრობილი და თუ რატომ, ეს თამაშის პირველივე წუთებიდან გამოჩნდა.

ზურაბ ტომარაძემ ნაკრების ორივე ახალი წევრი სასტარტო ხუთეულში დააყენა. ჩხეიძეს ბურთის გათამაშება დაევალა, შენგელია კი კულს დაუდგა და... თამაშის პირველ წუთში მასზე ორჯერ დაჯარიმება მოასწრო. ორ საჯარიმოს (ორიც ააცილა) ბელარუსმა გოლიათმა ორქულიანიც მიაყოლა და მეორე წუთზე 4:2 დააწინაურა სტუმრები. შესანიშნავად გრძნობდა თავს სლავთა უკანა ხაზიც. კარგად ჩაერთო თამაშში მეშჩერიაკოვის ნაცვლად გამოსული კორშუკი, რომლის ორმა საჯარიმომ 10:5 დააწინაურა სტუმრები, პინტიკოვის სამიანის შემდეგ კი ბელარუსი ექვსქულიან უპირატესობას ფლობდა — 13:7.

და აქ გულში ჩვეული უიმედობის შეგრძნება გაჩნდა, თვალწინ გაიელვა თამაშებმა, სადაც საქართველო აგებს ჯერ ოთხიოდ ქულით, შემდეგ კი სხვაობა წუთიდან წუთამდე იზრდება და ხვდები, რომ გუნდმა, რომელსაც ქომაგობ, უკვე პირველ ნახევარში წააგო თამაში. ნუთუ დღესაც ასე იქნება? ეკითხები საკუთარ თავს და აპირებ, ხელი ჩაიქნიო... მაგრამ აი, კულმა ააცილა. მას უკვე ფაჩულია უდგას და ბელარუსი გიგანტი თავს ისე თავისუფლად ველარ გრძნობს. შენგელიას წინააღმდეგ თამაშისას კულს ხუთი მოხსნა ჰქონდა, მესამე მეოთხედამდე მეტი აღარ გაუკეთებია, და არც ბურთი ჩაუგდია. ახლა უკვე მან დაიწყო პერსონალურების „აკრეფა" და ეს თამაშსაც დაეტყო. მასპინძლები ოდნავ უკეთ ათამაშდნენ. თავად ფაჩულიამ პირველ

მეოთხედში რვა ქულა და ბევრი მოხსნა მიითვალა, თუმც მასპინძლებმა ეს ათწუთეული მაინც დათმეს 21:25, რადგან პინტიკოვი და კორშუკი კარგად იხსნებოდნენ და კარგად ესროდნენ.

მეორე მეოთხედში ფარქვეშ ფაჩულიას ბატონობის დასამხობად სტუმართა მწვრთნელმა ალექსანდრ ბორისოვმა საგანგებო ზომას მიმართა და კულს 210-სანტიმეტრიანი ნიკოლაი ალექსეევი შეუწყვილა, თუმც ამან მხოლოდ ჩვენ გვარგო, ფაჩულიამ და დავით უგრეხელიძემ ორივე დიდი ბელარუსი გამოთიშეს თამაშიდან, ფაქტობრივად მეტოქე რიცხობრივ უმცირესობაში დატოვეს და ეს ანგარიშშიც აისახა. მეოთხედის მეორე წუთზე ცქიტიშვილმა სამიანით ანგარიში გაათანაბრა — 26:26, ფაჩულიამ კი ზედიზედ ხუთი ქულა მიითვალა და საქართველო 31:26 დააწინაურა. ტაიმიც ჩვენი იყო — 41:38.

ამ 41 ქულიდან 18 ფაჩულიას ანგარიშზე მოდიოდა. იგი სრულად აკონტროლებდა ფარქვეშა სივრცეს, მაგრამ მასპინძლებს კვლავ არ აღმოაჩნდათ კონტრიარალი ბოიდაკოვის და კორშუკის წინააღმდეგ. ისინი თავისუფლად მოქმედებდნენ, ხოლო როდესაც მესამე მეოთხედის შუაწელში ფაჩულია დასასვენებლად დაჯდა, კიდევ უფრო გაილაღეს და ახლა ფარქვეშეთშიც იწყეს თარეში. გარდა ამისა, ათამაშდა კულიც და პირველი წუთების შემდეგ მან პირველად გააკეთა რიგიანი რამ: ერთ შეტევაში სამი ქულა მიითვალა. ბელარუსი 58:56 დაწინაურდა და ამას კიდევ ზედიზედ შვიდი ქულა მოჰყვა საქართველოს კალთში.

ბოლო მეოთხედი 69:59 ანგარიშით დაიწყო. მართალია, ეს ათწუთეული 24:9 მოვიგეთ, მაგრამ ამაში სროლისას სტუმართა უზუსტობის წილი უფრო დიდი იყო, ვიდრე ჩვენი კარგი დაცვისა. მთავარი კი ის არის, რომ შეხვედრის დასკვნითი ეტაპისთვის უკვე საკმაოდ მოღლილ ფაჩულიას კარგად შეეშველა ნაკრების კაპიტანი ვახტანგ ნაცვლიშვილი, რომელმაც პირველ სამ მეოთხედში მხოლოდ შვიდი ქულა მოაგროვა, ბოლოში კი თერთმეტი შეაწია თავისიანებს. ფაჩულიამ კვლავ გაიბრწყინა — ექვს ქულასთან ერთად ბევრი მნიშვნელოვანი ბურთი მოხსნა (სულ ზაზას 17 მოხსნა დაუგროვდა). გოგობერიშვილმა მატჩის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე ოფიციალურადაც გამოთიშა თამაშიდან ალექსანდრ კული ხუთი პერსონალურით.

კულს ბოლო წუთზე ალექსეევი და ბოიდაკოვიც მიჰყვნენ, თუმც მანამდე იყო დიდი ვნებათაღელვა. ბოლო წამებზე მთელი ჩვენი შრომა ლამის წყალში გადაიყარა, მატჩის დამთავრებამდე 23 წამით ადრე, 80:78-ზე, ჟლენტმა ორივე საჯარიმო ააცილა. ბურთი ფაჩულიამ მოხსნა (ისევ ფაჩულია), მასზე დაჯარიმდნენ, თუმც ზაზამაც ააცილა ორივე სროლა. ახლა უკვე ნაცვლიშვილმა იყოჩაღა და სტუმრები იძულებულები იყვნენ, გოგობერიშვილზე დაჯარიმებულიყვნენ. რამაზმა ერთი ჩააგდო და ბელარუსებს სამქულიანი ჩამორჩენა და 13 წამი დაუტოვა. სტუმრებმა ვერ ივარგეს. ჟლენტმა კლემეზს ბურთი წაართვა და გოგობერიშვილმაც თამაშს წერტილი დაუსვა.

შემდეგ იყო სიხარული. ხალხი მოედანზე შეიჭრა და გამარჯვებულებს გარს შემოეხვია. ზაზა ფაჩულიამ კი სიხარულით გადარეული გულშემატკივრების ზურგზე იმ სპორტის სასახლის მოედანი შემოიარა, რომელშიც ცხოვრებაში მეორედ ითამაშა.

| აზერბაიჯანი 62:101 ბულგარეთი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 2 | 2 | 0 | 174:153 | 4 |
| ბელარუსი | 2 | 1 | 1 | 200:133 | 3 |
| ბულგარეთი | 2 | 1 | 1 | 176:153 | 3 |
| აზერბაიჯანი | 2 | 0 | 2 | 112:213 | 2 |



ვახტანგ ნაცვლიშვილი რუსლან ბოიდაკოვსა (№4) და ნიკოლაი ალექსეევს შორის

## მატჩის შედეგი



ალექსანდრ ბორისოვი



ზურაბ ტომარაძე

***გაისმა თუ არა საფინალო სირენის ხმა, მოედანი გულშემატკივართა ზღვამ დაფარა. მთელ დარბაზში განუზომელმა სიხარულმა დაისადგურა. მთელი გულითაც რომ გდომებოდათ, ზაზა ფაჩულიას ათი მეტრის რადიუსზეც ვერ მიუახლოვდებოდით: გამარჯვების ეიფორიით შეპყრობილ გულშემატკივრებს მხრებზე შესმული დაჰყავდათ მოედანზე. ზაზა კი თავის მხრივ ცდილობდა, მადლიერება გამოეხატა მაყურებელთა მიმართ. ნაკრების მთავარ მწვრთნელ ზურაბ ტომარაძის ირგვლივაც აუარებელ ხალხს მოეყარა თავი. ყველა წარმატებას ულოცავდა.***

***რაც შეეხება ბელარუსებს, ისინი იმ წუთებში თავიანთ მწვრთნელთან ერთად ისე დაღვრემილნი გაუჩინარდნენ გასახდელში, თითქოს ევროპის ჩემპიონატის ფინალი წაეგოთ.***

***ზემოთქმულიდან გამომდინარე, მათი მოხელთება, ცოტა მოგვიანებით, გასახდელში მოხერხდა, როცა გამარჯვებით გამოწვეული ვნებათაღელვის პირველმა ტალღამ გადაიარა.***

**ზურაბ ტომარაძე:**

— ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვეთ. ბელარუსის ნაკრები ერთობ მაღალი დონის გუნდია, რაც თამაშის დროსაც არაერთხელ დაამტკიცა. მთელი მატჩი კულის გაუვნებლებაზე ავაწყვეთ, რასაც მშვენივრად გავართვით თავი და თქვენ წარმოიდგინეთ, იგი ჩვენს სასარგებლოდაც კი გამოვიყენეთ. როცა ის ფარქვეშ იმყოფებოდა, ზაზა ფაჩულიას მის წინააღმდეგ თამაში უფრო უადვილდებოდა. ჩვენ მოვახერხეთ კულის შეჩერება და გავიმარჯვეთ კიდეც, თუმცა სხვებმაც საკმაოდ ბევრი პრობლემები შეგვიქმნეს. კიდევ ერთი, რამაც გადამწყვეტი როლი ითამაშა ჩვენს გამარჯვებაში ის იყო, რომ ფარი მოვიგეთ.

მთელი გუნდის კმაყოფილი ვარ. კალათბურთელებმა სული და გული ჩააქსოვეს ამ მოგებას. იმედი მაქვს, ეს არ იქნება ჩვენი მაქსიმუმი. ბელარუსთან გამარჯვება მხოლოდ დასაწყისია. ამის თქმის საშუალებას მე ის ახალგაზრდები მაძლევენ, რომლებიც ქართული კალათბურთის მომავალს წარმოადგენენ.

არ შემიძლია, მადლობა არ გადავუხადო გულშემატკივრებს, რომლებმაც ჩვენს გამარჯვებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს. ვიმედოვნებ, ეს ტენდენცია არ განელდება და მომავალში უფრო მეტი მაყურებელი მოვა ჩვენი ნაკრების საქომაგოდ.

***ზაზა ფაჩულიას გულშემატკივრები არც შემდეგ მოშორებიან, მრავალი მეგობრისა და ახლობლის გარდა, მას გასახდელში კალამ-ფურცელ მომარჯვებული ჭაბუკობაც შეჰყვა, რომლებიც მისგან ავტოგრაფებს ითხოვდნენ.***

**ზაზა ფაჩულია:**

— კმაყოფილი ვარ ჩვენი ნაკრების თამაშით. ძალიან პრინციპული მატჩი მოვიგეთ, რომელსაც დიდი ფსიქოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა. ბულგარელებთან ასე რომ გვეთამაშა, ორმოც ქულაზე მეტს მოვუგებდით.

თავიდან ცოტა გაგვიჭირდა. კული რომ მიჭერდა, ხშირად ფარს გარეთ გავდიოდი და იქიდან ვუტევდი, რაც კარგად გამომდიოდა.

მას შემდეგ, რაც კულმა სამი პერსონალური მიიღო, იგი მწვრთნელმა თამაშიდან გაიყვანა, მაგრამ არც მოედანზე დაბრუნების შემდეგ უხეირია რამ.

ბოლომდე ვიბრძოლეთ და ერთიანი ძალისხმევით მოვახერხეთ გამარჯვების მიღწევა. ერთი რამ, რაც არ მომეწონა, ის იყო, რომ ბოლო წამებზე გადამწყვეტ მომენტში ვერ მოვახერხეთ საჯარიმოების ჩაგდება და რომ არა ფარზე კარგი თამაში, შეიძლება ყველაფერი საწინააღმდეგოდ მომხდარიყო. ამის მიუხედავად, ბელარუსებს ვაჯობეთ და ჩვენი გამარჯვება ლოგიკურია.

ამ მოგებით, ჯგუფიდან გასვლის კარგი შანსი მოგვეცა და უნდა გამოვიყენოთ. მჯერა, ჩვენი ნაკრები ამაზე არ შეჩერდება და სულ მეტად და მეტად გაახარებს ქომაგთ. ამისთვის კი რაც შეიძლება ხშირი შეკრებებია საჭირო, რათა ნაკრები ერთიან, მჭიდროდ შეკავშირებულ გუნდად ჩამოყალიბდეს. თუ ეს მოხერხდა, დარწმუნებული ვარ, ძალიან ბევრს მივაღწევთ. გულშემატკივრებს კი ულრმესი მადლობა მინდა გადავუხადო მხურვალე ქომაგობისთვის.

**რამაზ გოგობერიშვილი:**

— თავიდან ოდნავ გაგვიძნელდა, თუმცა მალე ყველაფერი დალაგდა და თამაშიც გამოვასწორეთ. განსაკუთრებით მინდა ხაზი გავუსვა მაყურებელთა მხარდაჭერას, რომელიც ძალიან დაგვეხმარა. წინა თამაშისგან განსხვავებით, ჩვენი დაცვა უფრო მობილურად გამოიყურებოდა, თუმცა ამ მხრივ კიდევ ბევრი სამუშაო გვაქვს. ამ გამარჯვებით ფაქტობრივად გავინაღდეთ ჯგუფიდან გასვლა, მაგრამ ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ მიღწეულზე შევჩერდებით. უნდა ვეცადოთ, ყოველი ჩატარებული თამაშიდან მაქსიმუმი შევიძინოთ.

***ნაკრების კაპიტანი ვახტანგ ნაცვლიშვილი უზომოდ ხარობდა. ემოციებმოზღვავებულმა ულრმესი მადლიერების სიტყვები არ დაიშურა გულშემატკივართა მიმართ და სურვილი გამოთქვა, რომ მომავალ თამაშებზე დარბაზში ერთი ცარიელი ადგილი არ იყოს.***

***კაცი, რომელმაც ბელარუსის ნაკრების მარცხი ყველაზე მეტად განიცადა, მოგვიანებით გამოჩნდა. მაშინ, როდესაც დარბაზში აღარავინ იმყოფებოდა მატჩის მომსახურე პერსონალის გარდა. სლავთა მთავარი მწვრთნელი ალექსანდრ ბორისოვი თამაშის ოქმის მისაღებად სამდივნოსთან გამოცხადდა. იგი ძალიან შეფიქრიანებული იყო. თუმცა ჩვენთან საუბარში შეძლებისდაგვარად ცდილობდა, ეს არ შეემჩნეოდა:***

— თქვენი გუნდის თამაშის ვიდეოფირი არ მინახავს. მწირ ინფორმაციას ვფლობდი, მაგრამ ვიცოდი, ნორმალური გუნდი გყავდათ. თქვენმა ბიჭებმა ბოლომდე იბრძოლეს და საწადელსაც მიაღწიეს. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ცენტრის (ზაზა ფაჩულია — რედ.) კარგი თამაში. ასევე მომეწონა 13 ნომრის (ვახტანგ ნაცვლიშვილი — რედ.) აქტივობა მეორე ტაიმში.

ჩვენ შესუსტებული შემადგენლობით ვიყავით, რადგან ძირითადის სამ მოთამაშეს ტრავმები აწუხებს, შემცვლელებმა კი იმედი გამიცრუეს. ალექსანდრ კული ნაკრებს რამდენიმე დღის წინ შეუერთდა და გუნდთან შეთამაშება აკლდა. მიუხედავად ამისა, მისგან მეტს ველოდი, თუმცა... ის რომ არ გვყოლოდა, არ ვიცი, ფარიდან ასხლეტილ ბურთს ვინ მოხსნიდა. ჩვენი მარცხის მთავარი მიზეზი უკანახაზელების უხეირო თამაში გახლდათ. ასევე გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა თქვენი კალათბურთელების წარმატებულ გარჯას ფარიდან ასხლეტილი ბურთების მოპოვებაში. ფარზე თამაში წავაგეთ, რაც მატჩის შედეგზეც აისახა.

**ირაკლი ბერტაია**

# მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
# ევროპა

### I ჯგუფი

**შვეიცარია 0:1 სლოვენია**

0:1 ციმეროტიჩი (83)

**ლუქსემბურგი 1:2 რუსეთი**

0:1 ალენიჩევი (16), 1:1 შნაიდერი (48), 1:2 სემაკი (76)

**ფარერები 0:6 იუგოსლავია**

0:1 სტანკოვიჩი (20), 0:2 კეჟმანი (29), 0:3 სტანკოვიჩი (55), 0:4 მილოშევიჩი (68), 0:5, 0:6 კეჟმანი (87, 90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 7 | 5 | 2 | 0 | 10:3 | 17 |
| სლოვენია | 7 | 3 | 4 | 0 | 11:7 | 13 |
| შვეიცარია | 7 | 3 | 2 | 2 | 14:6 | 11 |
| იუგოსლავია | 6 | 2 | 3 | 1 | 11:4 | 9 |
| ფარერები | 6 | 1 | 1 | 4 | 5:15 | 4 |
| ლუქსემბურგი | 7 | 0 | 0 | 7 | 2:18 | 0 |

### II ჯგუფი

**ესტონეთი 0:2 ირლანდია**

0:1 დაფი (8), 0:2 ჰოლანდი (39)

**პორტუგალია 6:0 კვიპროსი**

1:0 პაულეტა (16), 2:0, 3:0 ბარბოსა (55, 59), 4:0 პაულეტა (71), 5:0, 6:0 ჟოაუ პინტუ (76, 81)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ირლანდია | 8 | 5 | 3 | 0 | 18:5 | 18 |
| პორტუგალია | 7 | 4 | 3 | 0 | 18:5 | 15 |
| ჰოლანდია | 7 | 4 | 2 | 1 | 21:8 | 14 |
| ესტონეთი | 7 | 2 | 1 | 4 | 8:14 | 7 |
| კვიპროსი | 7 | 2 | 1 | 4 | 10:22 | 7 |
| ანდორა | 8 | 0 | 0 | 8 | 4:25 | 0 |

### III ჯგუფი

**ისლანდია 1:1 ბულგარეთი**

1:0 დადასონი (43), 1:1 ბერბატოვი (81)

**დანია 2:1 მალტა**

0:1 მალია (8), 1:1, 2:1 სანდი (43, 83)

**ჩეხეთი 3:1 ჩრდ. ირლანდია**

1:0 კუკა (40), 1:1 მაღრინი (45), 2:1 კუკა (88), 3:1 ბაროში (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დანია | 7 | 4 | 3 | 0 | 13:5 | 15 |
| ჩეხეთი | 7 | 4 | 2 | 1 | 10:3 | 14 |
| ბულგარეთი | 7 | 4 | 2 | 1 | 12:7 | 14 |
| ისლანდია | 7 | 3 | 1 | 3 | 11:10 | 10 |
| ჩრდ. ირლანდია | 7 | 1 | 1 | 5 | 6:11 | 4 |
| მალტა | 7 | 0 | 1 | 6 | 2:18 | 1 |

### IV ჯგუფი

**შვედეთი 6:0 მოლდოვა**

1:0, 2:0, 3:0 ლარსონი (38პ, 58, 68პ), 4:0 ალექსანდერსონი (74), 5:0 დ. ანდერსონი (77), 6:0 ლარსონი (79პ)
გაძევება: კოვალენსო (37, მოლდოვა)

**თურქეთი 3:3 მაკედონია**

0:1 შაკირი (7), 0:2 სერაფიმოვსკი (20), 1:2, 2:2 ალფაი (43, 58), 2:3 ნიკოლოვსკი (62), 3:3 ალფაი (70)
გაძევება: მ. კრსტევი (48, მაკედონია)

**აზერბაიჯანი 2:0 სლოვაკეთი**

1:0 ვასილიევი (26), 2:0 ტაგიზადე (55)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 7 | 5 | 2 | 0 | 13:1 | 17 |
| თურქეთი | 7 | 4 | 3 | 0 | 13:6 | 15 |
| სლოვაკეთი | 7 | 3 | 2 | 2 | 7:6 | 11 |
| მაკედონია | 7 | 1 | 3 | 3 | 9:10 | 6 |
| აზერბაიჯანი | 7 | 1 | 1 | 5 | 3:11 | 4 |
| მოლდოვა | 7 | 0 | 3 | 4 | 2:13 | 3 |

### V ჯგუფი

**ნორვეგია 1:1 ბელარუსი**

0:1 ბელკევიჩი (23), 1:1 კარეუ (80)
გაძევება: ტუმილოვიჩი (81, ბელარუსი)

**უკრაინა 1:1 უელსი**

1:0 ზუბოვი (44), 1:1 პემბრიჯი (80)

**სომხეთი 1:1 პოლონეთი**

0:1 კალუჟნი (4), 1:1 პეტროსიანი (11)
გაძევება: სარქისიანი (58)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 7 | 5 | 2 | 0 | 16:6 | 17 |
| ბელარუსი | 7 | 3 | 3 | 1 | 8:7 | 12 |
| უკრაინა | 7 | 2 | 4 | 1 | 7:7 | 10 |
| უელსი | 7 | 0 | 5 | 2 | 7:9 | 5 |
| ნორვეგია | 7 | 0 | 4 | 3 | 5:8 | 4 |
| სომხეთი | 7 | 0 | 4 | 3 | 6:12 | 4 |

### VI ჯგუფი

**სან მარინო 1:4 ბელგია**

0:1 ვილმოტსი (10), 1:1 ა. სელვა (11), 1:2 ვერპეინი (60), 1:3 სონკი (68), 1:4 ვილმოტსი (89პ)

**ლატვია 0:1 ხორვატია**

0:1 ბალაბანი (39)
გაძევება: შტოლცერსი (73, ლატვია)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბელგია | 6 | 4 | 2 | 0 | 23:5 | 14 |
| ხორვატია | 5 | 3 | 2 | 0 | 10:2 | 11 |
| შოტლანდია | 5 | 3 | 2 | 0 | 10:3 | 11 |
| ლატვია | 7 | 1 | 1 | 5 | 4:14 | 4 |
| სან მარინო | 7 | 0 | 1 | 6 | 3:26 | 1 |

### VII ჯგუფი

**ისრაელი 1:1 ესპანეთი**

1:0 რევივო (4), 1:1 რაული (63)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 6 | 4 | 2 | 0 | 15:4 | 14 |
| ავსტრია | 5 | 3 | 2 | 0 | 7:3 | 11 |
| ისრაელი | 6 | 3 | 1 | 2 | 10:6 | 10 |
| ბოსნია | 5 | 1 | 1 | 3 | 7:10 | 4 |
| ლიხტენშტაინი | 6 | 0 | 0 | 6 | 0:16 | 0 |

### IX ჯგუფი

**ალბანეთი 0:2 გერმანია**

0:1 რემერი (28), 0:2 ბალაკი (68)
გაძევება: მურატი (34, ალბანეთი), რამელო (34, გერმანია)

**საბერძნეთი 0:2 ინგლისი**

0:1 სქოულზი (64), 0:2 ბექემი (87)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 6 | 5 | 1 | 0 | 13:5 | 16 |
| ინგლისი | 5 | 3 | 1 | 1 | 7:3 | 10 |
| საბერძნეთი | 6 | 2 | 0 | 4 | 4:10 | 6 |
| ფინეთი | 5 | 1 | 2 | 2 | 5:6 | 5 |
| ალბანეთი | 6 | 1 | 0 | 5 | 5:10 | 3 |

## ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

UNDER-21 Championship

### I ჯგუფი

**ლუქსემბურგი 0:10 რუსეთი**

0:1, 0:2 ბისტროვი (7, 15), 0:3 გოგნიევი (18), 0:4, 0:5 პიმენოვი (28, 36), 0:6 გოგნიევი (42), 0:7 კუზმინი (45), 0:8 პიმენოვი (64), 0:9 იზმაილოვი (78), 0:10 ბისტროვი (90)
გაძევება: რომანოვი (72, რუსეთი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 6 | 3 | 2 | 1 | 17:5 | 11 |
| შვეიცარია | 5 | 3 | 2 | 0 | 14:5 | 11 |
| სლოვენია | 6 | 2 | 2 | 2 | 8:5 | 8 |
| იუგოსლავია | 5 | 2 | 2 | 1 | 10:8 | 8 |
| ლუქსემბურგი | 6 | 0 | 0 | 6 | 1:27 | 0 |



REUTERS გოთენბურგიდან

შვედეთი — მოლდოვა 6:0. მასპინძელთა ექვსი ბურთიდან ოთხი ჰენრიკ ლარსონისა (შუაში) იყო



REUTERS ათენიდან

საბერძნეთი — ინგლისი 0:2. რიო ფერდინანდმა და ინგლისელმა მცველებმა ნიკოს მახლასს (№9) გოლი არ გაატანინეს

## ჰოლანდია

### პლეი ოფი

### A ჯგუფი

**II ტური**

ვოლენდამი (II) — ზვოლე (II) 1:0; სიტარდი — ტელსტარი (II) 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიტარდი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ტელსტარი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ვოლენდამი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ზვოლე | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |

*გამარჯვებული 2001-2002 წლების სეზონში ითამაშებს ჰოლანდიის I დივიზიონში*

### B ჯგუფი

**III ტური**

გოუ ეჰედ იგლზი (II) — კამბური (II) 1:2; ექსელსიორი (II) — სპარტა 3:4

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 3 | 2 | 0 | 1 | 8:6 | 6 |
| კამბური | 3 | 2 | 0 | 1 | 6:5 | 6 |
| ექსელსიორი | 3 | 1 | 0 | 2 | 6:7 | 3 |
| გოუ ეჰედ იგლზი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 |

*გამარჯვებული 2001-2002 წლების სეზონში ითამაშებს ჰოლანდიის I დივიზიონში*

## ფინეთი

მეათე ტურის მატჩი

**იოკერიტი 3:0 ჯაზი**

## იტალია

### სერია B

გადადებული მატჩი

**ჩიტადელა 0:0 სიენა**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის
რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, თამაზ გოგებაშვილი, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge